პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 291 (10067) | ხუთშაბათი, 9 დეკემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი (1-ლი გვერდი).
კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ სოფლის მეურნეობას (მე-2 გვერდი).
კარგი ამინდის იმედით... (მე-2 გვერდი).
ორგანიზებულად დავამთავროთ ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე (მე-2 გვერდი).
კონსულტაცია. — სახალხო სასამართლოების არჩევნების ორგანიზაცია (მე-2 გვერდი).
შევქმნათ ღრმა იდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებები საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე. — ამხანაგო მწერლებო, გაგვიცანით! მწერლების ღირსების საქმე ... ქართველი საბჭოთა მწერლებისაგან. სრულყოფილად ... ხოთ ახალგაზრდობის ცხოვრება. შეხვ... ლების მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატებთან (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ სახალხო სასამართლოების არჩევნებს

ახლოვდება სახალხო სასამართლოების არჩევნების დღე — 19 დეკემბერი. არჩევნებისათვის მზადება მშრომელთა უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. რესპუბლიკის ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტსა და ახალმშენებლობებზე მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული ინიციატივის პასუხად ფართოდ არის გაჩაღებული შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წელს ახალი წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

შემოქმედი და მშენებელი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ უჭერს რა მხარს საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებას, მიმართულს მშვიდობის შენარჩუნებისაკენ, აქტიურად იბრძვის მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მუშაობას, მათ მხურვალედ დაუჭირეს მხარი თათბირის მიერ მიღებულ დეკლარაციას, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ადამიანების ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს. დეკლარაციის განხილვისადმი მიძღვნილმა მშრომელთა მიტინგებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს საბჭოთა ადამიანების ერთსულოვანი გადაწყვეტილება — ბოლომდე დაიცვან მშვიდობა მთელ მსოფლიოში, თავდადებული შრომით განამტკიცონ მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯის — საბჭოთა კავშირის ძლიერება.

სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დგას საბჭოთა სასამართლო, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სასამართლო. ჩვენში შექმნილია სასამართლოების არჩევნებში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობის ყველა პირობა. სახალხო სასამართლოების არჩევა ხდება საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

დღითიდღე ძლიერდება მზადება სასამართლოების არჩევნებისათვის. მუშობა გააჩაღეს საარჩევნო პუნქტებმა. დასახელებული და რეგისტრირებული არიან სახალხო მოსამართლეთა და მსაჯულთა კანდიდატები. სულ რესპუბლიკაში სახალხო მოსამართლეთა კანდიდატებად წამოყენებულია 143 კაცი, მსაჯულთა კანდიდატებად 10 ათასზე მეტი კაცი. მოსამართლეთა და მსაჯულთა კანდიდატებად საქართველოს მშრომელებმა თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები დაასახელეს. მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა სახალხო მოსამართლის კანდიდატად დაასახელა ბარბარე იოსების ასული არავიაშვილი. მას მშრომელები იცნობენ როგორც გულისხმიერ, დაკვირვებულ და სპეტაკ მუშაკს. ბათუმის გემთშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა მოსამართლის კანდიდატად წამოაყენა თინა ხვედელიძე. ხვედელიძე წლების განმავლობაში მოსამართლედ მუშაობს და მას მშრომელები პატივს სცემენ, როგორც პრინციპულ, პატიოსან, სამშობლოს ერთგულ მუშაკს. სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა სახალხო მსაჯულთა კანდიდატებად წარგზავნეს ქარხნის მოწინავე ადამიანები — დანადგარის უფროსი ს. სტურუა, სამჭროს უფროსი თ. ცეცლაძე, მეაპარატე ვ. ჩიქოვანი, საქვაბეს უფროსი გ. ჭყონია, ოპერატორი ა. ძნელაძე და სხვები.

ფართოდ არის გაჩაღებული საარჩევნო აგიტაცია. შექმნილია ასობით აგიტპუნქტი. მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ათასობით აგიტატორი ეწევა, ისინი მშრომელებს მოუთხრობენ იმ ისტორიული გამარჯვებების შესახებ, რომლებიც ჩვენმა სამშობლომ მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, განუმარტავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს, მიმართულს ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. აგიტატორები ამომრჩევლებს ესაუბრებიან კომუნიზმის მშენებლობის საქმეში სახალხო სასამართლოების როლსა და მნიშვნელობაზე, აცნობენ არჩევნების დებულებას, მოსამართლეთა და მსაჯულთა კანდიდატების ბიოგრაფიებს. წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მოსახლეობაში იმართება ლექციები და მოხსენებანი სპეციალური თემატიკის მიხედვით.

არჩევნებისათვის მზადების საქმეში მაინც სერიოზული ნაკლოვანებებია. ზოგან საგიტაციო-მასობრივ მუშაობას, როგორც არჩევნების წარმატებით ჩატარების ერთ-ერთ სერიოზულ პირობას, სათანადოდ არ აფასებენ. სხვანირად არ შეიძლება აიხსნას, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ქარელის რაიონის სოფელ მოხისში აგიტატორთა ერთი ნაწილი ფორმალურად არის გამოყოფილი, ისინი ერთხელაც არ მისულან ამომრჩევლებთან, ამომრჩეველთა შორის არ ეწყობა ლექციები და მოხსენებები. ტყიბულჰესის ერთ-ერთ სამშენებლო უბანზე არაფერს აკეთებს აგიტპუნქტი, ამიტომ არის, რომ აქ ზოგიერთმა ამომრჩეველმა არც კი იცის, რა დღეს ეწყობა არჩევნები ან ვის უნდა მისცენ ხმა. საკვირველია, რომ ასეთ მდგომარეობას ტყიბულჰესის მშენებლობის პარტიული ორგანიზაცია ურიგდება.

ბევრგან დღემდე მოუგვარებელია ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები. ზოგიერთი საარჩევნო და საგიტაციო პუნქტი მოუწყობელია, ამასთან შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული. მოუწყობელია მაგალითად, წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის № 4 საარჩევნო პუნქტი. აქ საარჩევნო ლიტერატურასაც ვერ იპოვით.

არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა. ეს დღეები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, სასწრაფოდ გამოვასწოროთ მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი. პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ აგიტპუნქტებისა და აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, უზრუნველყონ ამომრჩეველთა შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მაღალი პოლიტიკური დონე, მიაღწიონ იმას, რომ ყველა აგიტპუნქტისა თუ აგიტატორის მუშაობა მჩქეფარე და სისხლსავსე იყოს. ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სახალხო მოსამართლეთა და მსაჯულთა კანდიდატების სასარგებლო აგიტაციას. მთელი საარჩევნო აგიტაციის, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დედაარსს უნდა წარმოადგენდეს ჩვენი ქვეყნის მშრომელების წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანების განმარტება, მათი დარაზმვა ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

დიდი ადგილი უნდა დაეთმოს საბჭოთა კანონების პროპაგანდას, სსრ კავშირის კონსტიტუციის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საბჭოთა სასამართლო ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპების, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში სახალხო სასამართლოების როლისა და მნიშვნელობის განმარტებას.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში არჩევნების დებულების მტკიცედ დაცვა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების პირდაპირი მოვალეობაა, ისინი ამასთან მოვალენი არიან დროზე მოამზადონ საარჩევნო პუნქტები საარჩევნო ბიულეტენებითა და მთელი საარჩევნო დოკუმენტაციით, თვალყური ადევნონ საარჩევნო პუნქტებში წარგზავნილი რწმუნებულების მუშაობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ შენობათა კეთილმოწყობა, განათება და გათბობა, სადაც ხმის მიცემა იწარმოებს. წარსული საარჩევნო კამპანიების დროს ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ამ სამუშაოებს უკანასკნელი დღეებისათვის გადადებდა ხოლმე. ასეთი მდგომარეობა არ უნდა გამეორდეს.

არჩევნებში უკლებლივ ყველა ამომრჩეველის მონაწილეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას. სისტემატურად უნდა ვამოწმოთ ეს სიები, არ დავუშვათ მათში დამახინჯება და უსწორობა.

მთელი საარჩევნო კაპანია უნდა ჩატარდეს მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის შემდგომი ამაღლების ნიშნით, კომუნიზმის მშენებლობის იმ დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ნაბიჯების უფრო მჭიდროდ დარაზმვის ნიშნით, რომელიც შემუშავებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ. არჩევნების შედეგად კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს მასებთან სახალხო სასამართლოების კავშირი, ამაღლდეს მათი მუშაობის დონე.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 27-ე ტომი ჩეხურ ენაზე

პრაღა, (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ჩეხურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 27-ე ტომი.

ჩვენს დიად სამშობლოში



ყაზახეთის სსრ. ალმა-ატის ხორცკომბინატში წელს ამუშავდა ხორცის კონსერვების ახალი ქარხანა. ამან ერთიორად და უფრო მეტად გაზარდა პროდუქციის გამოშვება. ქარხნის საამქროები მექანიზებულია. სურათზე: ხორცის კონსერვების ქარხნის თუნუქის ქილების საამქრო.

ფოტო გ. ლინკევიჩისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ი. ვ. მიჩურინის სახელობის ოქრის მედლის მინიჭება

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის მიერ წარდგენილი მასალები ი. ვ. მიჩურინის სახელობის ოქროს მედლის მინიჭების შესახებ თვალსაჩინო ორიგინალური ნაშრომებისა და აღმოჩენებისათვის, რომლებსაც თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ მიჩურინული აგრობიოლოგიის განვითარების დარგში.

ი. ვ. მიჩურინის სახელობის ოქროს მედალი 1953 წლისათვის მიენიჭა შჩადრინსკის საცდელი სადგურის დირექტორს ტ. ს. მალცევს მის მიერ შესრულებული ნაშრომისათვის „ნიადაგის დამუშავებისა და თესვის ახალი სისტემა“.

1954 წლისათვის ი. ვ. მიჩურინის სახელობის ოქროს მედალი მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს ა. ნ. ვენიამინოვს ნაშრომისათვის „ალუბლის, ქლიავისა და გარგარის სელექცია“. (საკდესი).

დაიწყო დუბოსარის წყალსაცავის ავსება

დუბოსარი (მოლდავეთის სსრ), 5 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს მიწისმწოვი მანქანების ეკიპაჟებმა, რომლებიც მუშაობენ დნესტრის მიწის ზღუდარის ამოვსებაზე, მიაღწიეს 23-ე ნიშნულს. ამან მათ საშუალება მისცა დაეწყოთ წყალსაცავის ავსება წყლის დონის ასაწევად, რაც საჭიროა დუბოსარის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატების ასამუშავებლად. მემონტაჟეებმა რკინაბეტონის წყალსაშვები კაშხალის მალებში ჩაუშვეს უკანასკნელი, მეშვიდე ფარი. დნესტრი დადგა. მდინარის დონემ ზემო ბიეფში უკვე აიწია 70 სანტიმეტრით.

* * *

ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობებმა სელის ბოჭკოს და საბოჭკოე სელის თესლის დამზადების გეგმა შეასრულეს

ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო გეგმა — სელის ბოჭკოს დამზადებისა 105 პროცენტით და საბოჭკოე სელის თესლის დამზადებისა 209 პროცენტით. სახელმწიფოს ჩააბარეს სელის ბოჭკო 24,3 ათასი ტონა, ანუ 9,9 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1953 წლის ამ თარიღისათვის, და საბოჭკოე სელის თესლი — 21,3 ათასი ტონა, ანუ 10,7 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან მთლიანად. განსაკუთრებით წარმატებით შეასრულეს სელის ბოჭკოსა და სელის თესლის დამზადების გეგმა ვიტებსკისა და მოგილევის ოლქების კოლმეურნეობებმა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა შეასრულეს აგრეთვე სახელმწიფოსათვის კანაფის თესლის ჩაბარების გეგმა.

მიღებული მოსავლის გათვალისწინებისა და თავიანთ შეხაძლებლობათა გამოანგარიშების საფუძველზე ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობები 1954 წლის მოსავლიდან გეგმის გადამეტებით ჩააბარებენ 12 ათას ტონა სელის ბოჭკოს.

წელს მესელეობითა და მეკანაფეობით კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვანი ფულადი შემოსავალი მიიღეს და კოლმეურნეებს შრომადღეებზე აძლევენ რამდენჯერმე უფრო მეტ ფულს, ვიდრე მისცეს ამ დარგის შემოსავლიდან შარშან.

პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეები, აჯამებენ რა მიმდინარე წლის შედეგებს, ამთავრებენ სელისა და კანაფის თესლის შენახვას და სახავენ ღონისძიებებს 1955 წელს საბოჭკოე სელის მოსავლიანობის და ნათესი ფართობების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.



კამის ჰიდროელექტროსადგურზე სრული სიმძლავრით მუშაობს ხუთი პირველი ტურბინ-გენერატორი. შორს არ არის ის დრო, როცა კამის ჰეხის ოცდაოთხივე აგრეგატი ჩადგება სახალხო მეურნეობის სამსახურში. სურათზე: კაშხალის მშენებლობის უბანი.

ფოტო ბ. ვოზულიასი. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ხალხის ღირსეული წარმომადგენლები

დამთავრდა საქართველოს რესპუბლიკაში სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების რეგისტრაცია. კანდიდატებად დასახელებული არიან მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები.

ამომრჩეველთა დიდი პატივისცემა დაიმსახურა ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-5 უბნის სახალხო მოსამართლემ შ. მახარაძემ. მშრომელებმა მესამეჯერ გამოუცხადეს მას ნდობა და დაასახელეს სახალხო მოსამართლის კანდიდატად.

სახალხო მოსამართლის კანდიდატად რეგისტრირებულია იუსტიციის გამოცდილი მუშაკი ა. წიქრიძე, რომელიც დაასახელა რუსთავის მეტალურგთა წინასაარჩევნო კრებამ. ზესტაფონის მევენახეებმა თავიანთ კანდიდატად დაასახელეს ყოფილი მეფეხსაცმელე მუშა ა. შარვაძე, რომელმაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო.

სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს შორის ხევრი მოწინავე ქალია. მშრომელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა ქალაქ თბილისის მოლოტოვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო მოსამართლის ნ. მირიანაშვილის მოღვაწეობამ იუსტიციის ორგანოებში. იგი ამ თანამდებობაზე დასახელებულია მეორეჯერ. ყვარლის რაიონში პირველად იყრის კენჭს სახალხო მოსამართლედ ს. აბულაშვილი, რომელიც დიდხანს იყო სახალხო მსაჯულად.

სახალხო მსაჯულებად დასახელებულთა შორის არიან წარმოების მოწინავენი, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მუშაკები. მათ შორის არიან თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ზეინკალი ს. ჭოხონელიძე, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საამქროს უფროსი ვ. ბაღდასაროვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი თანამშრომელი გ. სვანიძე, გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ლ. ჯიშკარიანი და სხვები.

სულ რესპუბლიკაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა რეგისტრაციაში გაატარეს სახალხო მოსამართლეთა 143 კანდიდატი და სახალხო მსაჯულთა 10 ათასზე მეტი კანდიდატი. (საკდესი).

წარმოების პროცესების ელექტროქიმიზაცია

მოსკოვში გაიმართა სრულიად საკავშირო თათბირი ტელემექანიზაციის საკითხებზე, რომელიც მოიწვია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტმა. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 400-მდე კაცმა — მეცნიერმა მუშაკებმა, სამინისტროებისა და საწარმოების წარმომადგენლებმა.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. ა. გავრილოვმა გააკეთა მოხსენება ტელემართვის დანერგვის საქმეში სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების ამოცანების შესახებ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამ დარგში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი; შექმნილია ახალი სახეობის ტელემექანიკური აპარატურა, რომელიც ფრიად სამედო და ზუსტია მუშაობაში.

თათბირმა მოისმინა 50-მდე მოხსენება. ამ მოხსენებებში, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ ელექტროსადგურთა სამინისტროს მოაგვარა ტელემექანიკური აპარატურის წარმოება, შეიმუშავა მთელი რიგი ახალი ტიპების შორი მოქმედების საზომი მოწყობილობანი. ამავამად წარმოებს მუშაობა მეტალურგიაში, ქვანახშირის მრეწველობასა და სხვა დარგებში პროცესების ტელემექანიზაციისათვის.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ი. კარლინსკაიამ დამსწრეთ აცნობა, რომ პამიელოვის სახელობის კომუნალური მეურნეობის აკადემიაში შექმნილია უნიფიცირებული მოწყობილობა, რომელიც ახორციელებს წყალადენის, კანალიზაციის, სატრანსფორმატორო ქვესადგურებისა და საქალაქო მეურნეობის სხვა ობიექტების მართვას. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ფ. პენკინმა თათბირს მოახსენა რკინიგზის ტრანსპორტზე სადისპეტჩერო ცენტრალიზაციის განვითარების შესახებ.

(საკდესი).

მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი

7 დეკემბერს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა სახოლოო სხდომა მშენებელთა, არქიტექტორთა და საშენი მასალების მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის, დამპროექტებელი და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირისა, რომელიც მოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბაროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი,** რომლებსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სიტყვა ეძლევა მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ტიპური დაპროექტებისა და ტექნიკურ გამოკვლევათა ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს ამხ. **ი. გ. ლიუდკოვსკის.** იგი ლაპარაკობს სამრეწველო მშენებლობაში დიდი ბლოკებისა და პანელების ფართოდ დანერგვის პრობლემაზე.

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, ენიჭება ლითონის მილების რკინაბეტონის მილებით შეცვლას საწნეხი და საკანალიზაციო ქსელების მოწყობაში. რკინაბეტონის მილების წარმოება რთული არ არის და საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად დავზოგოთ მილიონ ტონაზე მეტი ლითონი.

ამხ. ლიუდკოვსკიმ თავის გამოსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ფაბრიკებისა და ქარხნების ტიპური დაპროექტების განვითარების საკითხებს.

ტაჯიკეთის სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრი ამხ. **ხ. ზ. ტაიროვა** ამბობს, რომ რესპუბლიკაში წელს შესრულებულია ორჯერ მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ვიდრე შარშან. მაგრამ, აღნიშნავს ამხ. ტაიროვა, მშენებლობის გეგმები სისტემატურად ვერ სრულდება, დიდია მშენებლობის ღირებულება. ამხ. ტაიროვა მხარს უჭერს სხვა ორატორების აზრს, რომ საჭიროა წვრილი სამშენებლო ორგანიზაციების გაერთიანება მსხვილ ტრესტებად, მშენებელთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგება.

სიტყვას ამბობს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს კომბინატ „სტალინშახტოსტროის“ უფროსი ამხ. **ს. ვ. გოლუბოვი.** ათ თვეში ამ კომბინატმა ასეულ მილიონობით მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა. შახტების მშენებლობაში უმნიშვნელოვანესი გამონამუშევრების — ჭაურის გაყვანის გეგმა რეალიზებულია 120,6 პროცენტით. მნიშვნელოვნად ამაღლდა სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა სერიოზულ ნაკლოვანებებზე შახტების მშენებლობაში.

მშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ავტოტრანსპორტით საშენ მასალათა გადაზიდვის სწორ ორგანიზაციას. ამაზე ილაპარაკა მოსკოვის საქალაქო აღმასკომის ავტოსატვირთო ტრანსპორტის სამმართველის უფროსმა ამხ. **ი. მ. გობერმანმა.** მოსკოვის საბჭოს სისტემაში შემავალმა ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებმა განახორციელეს ტვირთების ცენტრალიზებული გადაზიდვა. ამან ავტომობილების მუშაობის წარმადობა ერთისამად-ერთიოთხად გაადიდა, ხოლო ტვირთზიდვის ღირებულება დაახლოებით ერთიორად-ერთისამად შეამცირა. ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მაღალი ეკონომიური ეფექტიანობა დადასტურდა აგრეთვე საშენ მასალათა გადაზიდვაში.

მაგრამ, ამბობს ორატორი, ტვირთზიდვის ახალი სისტემა მეტად ნელა ინერგება.

ამხ. გობერმანმა სერიოზული პრეტენზიები წარუდგინა საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, რომელიც არ უშვებს სპეციალიზებულ ავტომობილებს საშენი მასალების გადასაზიდავად.

ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ა. გ. ვენდელინი** ამბობს, რომ, მიუხედავად იმ საიჯარო სამუშაოთა მნიშვნელოვანი საერთო ზრდისა, რომლებიც მშენებლებმა შეასრულეს, ბევრი მშენებელი ორგანიზაცია ვერ ასრულებს მათთვის დაწესებულ დავალებებს. ამის შედეგად დიდი სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო კაპიტალური მშენებლობისათვის ითვალისწინებს, აუთვისებელი რჩება.

სასოფლო და საქალაქო მშენებლობის გაიაფებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იაფი ადგილობრივი მასალების გამოყენებას. რესპუბლიკაში მოგვარებულია საკანალიზაციო სილიკატური მილების წარმოება ნაცვლად ბეტონის მილებისა. სამშენი მასალების დასამზადებლად იყენებენ ნაცარს, რომელიც რჩება ელექტროსადგურებზე ფიქალის დაწვის შედეგად. ეს ძვირფასი და იაფი ნედლეული ფართოდ უნდა გამოიყენონ არა მარტო ესტონეთში, არამედ მეზობელ რაიონებშიც.

ამხ. ვენდელინი აყენებს საკითხს, რომ საჭიროა შემოღებულ იქნას ერთიანი სახარჯთაღრიცხვო ნორმები და შემცირდეს მშენებელი ორგანიზაციების ზედნადები ხარჯების ნორმები ცალკეულ სამინისტროთა მიხედვით.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ტრესტ „სტალინსკპრომსტროის“ მმართველმა ამხ. ა. ვ. სიცკომ, უზბეკეთის სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ამხ. ი. ს. ნასრედინოვამ, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის მოადგილემ ა. ს. გიმრევსკიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. კ. მ. სოკოლოვმა და აურის გამოწვის მოწინავე მეთოდების დანერგვის ინსტრუქტორმა სტალინური პრემიის ლაურეატმა პ. ა. დუკანოვმა.

დასასრულ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვმა,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

თათბირის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მიმართვა სსრ კავშირის სამშენებლო ინდუსტრიის ყველა მუშაკისადმი. (საკდესი).

კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ სოფლის მეურნეობას

გარეუბნის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომმა პლენუმებმა პარტიულ ორგანიზაციებს, მთელ საბჭოთა ხალხს ამოცანად დაუსახეს უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა. როგორ ასრულებენ ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებს გარეუბნის რაიონის პარტიული ორგანიზაციები? ამ საკითხზე მსჯელობას დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი გარეუბნის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა ამხ. დ. გელაშვილმა და დელეგატებმა ილაპარაკეს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე და ამ მუშაობის ნაკლოვანებებზე.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ 1953 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს. წელს ამ მხრივ მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა: გასულ წელთან შედარებით მარცვლეულის მოსავლიანობა ჰექტარზე გაიზარდა 3,5 ცენტნერით, ხოლო ბოსტნეულისა — 40 ცენტნერით. თვითეულ საფურაეე ძროხაზე მიღებულია 191 ლიტრით მეტი რძე, ვიდრე გასულ წელს, გაუმჯობესდა ძროხების ჯიშობრივი შემადგენლობა და გაიზარდა მათი სულადობა. მიუხედავად ამისა, რაიონი ჯერ კიდევ ჩამორჩება სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორიც არის მეცხოველეობა და მებოსტნეობა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში არის პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები, ხოლო ძროხების ბერწიანობა ბევრ კოლმეურნეობაში 50 პროცენტს შეადგენს. ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ მტს-ების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები ღრმად ვერ სწვდებიან სოფლის მეურნეობის საკითხებს, სუსტად იბრძვიან კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის, მასებში პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებისათვის.

მარტყოფის მტს-ის დირექტორმა ამხ. ნ. ლომინეიშვილმა, კრწანისის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. პ. ბროვკომ ილაპარაკეს რაიონში მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებული ჩამორჩენის მიზეზებზე. მათ აღნიშნეს, რომ გასულ წელს პირუტყვს საკმაო რაოდენობით არ ჰქონდა საკვები და შეუფერებელ ბინებში იყო მოთავსებული, ფერმები დაკომპლექტებული არ იყო კადრებით, მოისუსტებდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. როგორც გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. კორახაშვილმა თქვა, მეცხოველეობის განვითარებისათვის არც წელს არის შექმნილი საჭირო პირობები, დაუშვებლად ჭიანურდება ფერმების მშენებლობა, დამზადებული არ არის საკმაო საკვები.

ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ე. დანელიამ გააკრიტიკა პარტიის რაიკომის მუშაკთა ჯგუფი მარტყოფის მტს-ის ზონაში. მან თქვა: — მიუხედავად იმისა, რომ რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მხოლოდ ოთხ კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას, რაიკომის მდივანი ამხ. ლ. ბუხრაშვილი და ინსტრუქტორები იშვიათად დადიან კოლმეურნეობებში, კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს.

ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. მიგრიაულმა პარტიული კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ. კოლმეურნეობამ, — თქვა მან, — 3.000 ჰექტარამდე აიყვანა ბოსტნეული კულტურების ნათესები. დიდი ყურადღება მიექცა სასათბურე მეურნეობის მოწყობას. ბოსტნეული კულტურების შემოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე 7.000 მანეთი შეადგინა. მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მოსკოვის ოლქის ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობასთან. უფრო ქმედითი და მიზანდასახული გახდა პოლიტიკური აგიტაცია. მაგრამ მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის მუშაობაში ნაკლიც არის. მოუწესრიგებელია შრომა, 90 კოლმეურნეს წელს გამომუშავებული არა აქვს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, გამოყენებული არ არის ქალთა შრომა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კამათის მონაწილეთა ერთი ნაწილი, მათ შორის მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. სუხიტაშვილი და სხვ., მოერიდნენ რაიკომის ბიუროს მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკას. მათ გამოსვლებს ანალიზი აკლდა. კერძოდ, ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკულად პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. კონფერენციაზე არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება კოლმეურნეობებსა და მტს-ებს შორის დადებული ხელშეკრულებანი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსკოვში, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გარეუბნის რაიონიდან 86 სპეციალისტი გაიგზავნა. მაგრამ დელეგატებს არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, თუ როგორ ავრცელებენ და ნერგავენ საკოლმეურნეო წარმოებაში გამოფენაზე შეძენილ მოწინავე გამოცდილებას.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. გიორგაძემ.

პარტიულმა კონფერენციამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, აირჩია რაიკომის ახალი შემადგენლობა და თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

* * *

შედგა პარტიის გარეუბნის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. დ. გელაშვილი, მეორე მდივნად—ამხ. ი. მირიანაშვილი, მდივნად—ამხ. ვ. ზურაბიშვილი, ხოლო მტს-ების ზონებში რაიკომის მდივნებად — ამხ. ლ. ბუხრაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ბ. სონღულაშვილი.

ორგანიზებულად დავამთავროთ ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში გაიმართა პარტიის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, კავშირგაბმულობისა და „სოიუზპეჩატის“ მუშაკთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა 1955 წლისათვის ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის მიმდინარეობას. ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულის მოადგილემ საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. ინაურმა.

პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ პრესის განვითარებისათვის, რომელიც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. განუწყვეტლივ იზრდება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილება გაზეთებზე, ჟურნალებზე, წიგნებზე. მათი კითხვა მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ყოველდღიური მოთხოვნილებაა.

1955 წლისათვის ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა დაიწყო ორ თვეზე მეტი ხნის წინათ. იქ, სადაც პარტიული კომიტეტები და მათი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიას, ხელმოწერა სწრაფად და ორგანიზებულად მიმდინარეობს.

მაგრამ თათბირის ზოგიერთი მონაწილის, მაგალითად, ამხ. ბერეკაშვილის (ქუთაისის რაიონი), ჭეჟიას (ზუგდიდის რაიონი), ბექაიას (ქალაქი ქუთაისი) გამოსვლები მოწმობდა, რომ მთელმა რიგმა პარტიულმა კომიტეტებმა და, უწინარეს ყოვლისა, მათი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებმა, ხელიდან გაუშვეს კონტროლი ჟურნალ-გაზეთების ხელმოწერითა და საცალო გაყიდვით გავრცელებისადმი, მთლიანად მიანდეს ეს სამუშაო კავშირგაბმულობის ადგილობრივ კანტორებსა და „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ხელმოწერა ორჯონიკიძის რაიონში, სადაც ცენტრალური გაზეთები და ჟურნალები რეალიზებულია მხოლოდ 25 პროცენტით. ცუდად მიმდინარეობს პრესის გავრცელება ზუგდიდის, ბოლნისის, ქუთაისის, კაჭრეთისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

სერიოზულად ჩამორჩნენ ხელმოწერაში ქალაქ თბილისის ლენინის, კიროვისა და გარეუბნის რაიონები, აგრეთვე ქალაქები ქუთაისი, გორი, რუსთავი. ამის შედეგად ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის გეგმა რესპუბლიკაში 1 დეკემბრისათვის შესრულებული იყო 71,6 პროცენტით.

მეტად ნელა მიმდინარეობს ხელმოწერა რესპუბლიკურ გამოცემებზე.

თათბირზე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ ხელმოწერის წარმატებით დამთავრებისათვის, სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს „სოიუზპეჩატის“ მუშაკებს, რომლებიც საჭირო ოპერატიულობას ვერ იჩენენ, ცუდად ითვალისწინებენ მკითხველთა მზარდ მოთხოვნილებებს, აგრეთვე რაიონების სპეციფიკას. „სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკური განყოფილება ნელა ასწორებს შეცდომებს, რომლებიც დაშვებულია ჟურნალ-გაზეთების ტირაჟების განაწილების დროს.

პრესის გავრცელება ყველა პარტიული ორგანიზაციის სისხლხორცეული საქმეა. მათი პირდაპირი მოვალეობაა ყოველდღიურად უხელმძღვანელონ და დაეხმარონ კავშირგაბმულობისა და „სოიუზპეჩატის“ ორგანოებს, მიაღწიონ ჟურნალ-გაზეთების უნარიანად და დროზე გავრცელებას.

უაღრესად დიდია მშრომელთა მოთხოვნილება სულ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებზე. ამ მოთხოვნილების უფრო სრულად და უკეთ დაკმაყოფილება, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის სწორად მოწყობა ნიშნავს გაძლიერეროთ და ავამაღლოთ საბჭოთა პრესის — ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე მძლავრი იარაღის — დამრაზმველი და მაორგანიზებელი როლი.

რესპუბლიკის ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 29 ივლისის დადგენილებას „ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმეში ნაკლოვანებათა შესახებ“. კავშირგაბმულობისა და „სოიუზპეჩატის“ მუშაკები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ მკითხველებისათვის ჟურნალ-გაზეთების დროზე მიწოდებას. ზოგიერთი გაზეთი და ჟურნალი რჩება „სოიუზპეჩატის“ კიოსკებში და მაკულატურად იქცევა.

რესპუბლიკაში ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ მაღალ დონეზე და დროულად დამთავრდეს ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა 1955 წლისათვის. უახლოეს დღეებში უნდა აღმოიფხვრას ჩამორჩენა ცენტრალური გაზეთების, ჟურნალებისა და ადგილობრივი — რესპუბლიკური, სოფლის, საქალაქო და რაიონული პერიოდული გამოცემების გავრცელებაში. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო ჟურნალების, ახალგაზრდობის გაზეთების გავრცელებას.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებისადმი ადგილებზე. საჭიროა ფართოდ ჩავაბათ ხელმოწერაში აქტივი, საზოგადოებრივი რწმუნებულები, კოლმეურნეობათა ფოსტალიონები. პრესის გავრცელებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კლუბებმა, ქოხ-სამკითხველოებმა, ბიბლიოთეკებმა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა.

ჟურნალ-გაზეთებზე წარმატებითი ხელმოწერა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაჩაღებას, დაეხმარება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს მასების კომუნისტური აღზრდის საქმეში.

კონსულტაცია

სახალხო სასამართლოს არჩევნების ორგანიზაცია

საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან ერთად საპატიო ადგილი უკავიათ სასამართლო ორგანოებს, რომლებიც სოციალისტური მართლმსაჯულების განმახორციელებელნი არიან.

საბჭოთა სასამართლო ორგანოების სისტემა, მისი შექმნისა და მუშაობის ორგანიზაცია განსაზღვრება სსრ კავშირის 1936 წელს მიღებული კონსტიტუციით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1938 წლის 16 აგვისტოს კანონით „სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ“.

დასახელებული კანონების შესაბამისად შეიქმნა და მოქმედებენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლო ორგანოები, რომლებსაც შესაბამისი უმაღლესი საბჭოების სესიებზე ირჩევენ 5 წლის ვადით; აგრეთვე არიან სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სასამართლო ორგანოები, რომლებიც ასევე ხუთი წლის ვადით ირჩევენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოები, ხოლო სახალხო სასამართლოებს სამი წლის ვადით ირჩევენ რაიონის მოქალაქენი საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საბჭოთა კონსტიტუცია და საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულება, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს დაამტკიცა, სახალხო სასამართლოების არჩევნების ორგანიზაციის იურიდიული საფუძველია. სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 37-ე მუხლით წინასაარჩევნო კამპანიის დრო შემცირებულია 45-დან 30 დღემდე.

სახალხო სასამართლოების არჩევნების მთელი ორგანიზაციულ-ტექნიკური საქმიანობა ეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს. მათ უნდა შექმნან საარჩევნო პუნქტები, შეადგინონ ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო პუნქტების მიხედვით დანიშნონ რწმუნებულები საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად, მოახდინონ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების რეგისტრაცია, საარჩევნო პუნქტებთან მოაწყონ ხმის მისაცემი ოთახები, კაბინები, საარჩევნო პუნქტები მომამზადონ დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით, საოლქო დამთვლელი კომისიების მეშვეობით გამოარკვიონ თვითეულ საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითეული კანდიდატისათვის მიცემული ხმები, მისცენ არჩევის მოწმობები არჩეულ სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს და ა. შ.

სახალხო სასამართლოს სრული დემოკრატიული ბუნება იმითაც გამოიხატება, რომ მასში მონაწილეობენ სახალხო მსაჯულნი, რომელნიც სასამართლო პროცესზე მოსამართლეებთან ერთად თანასწორი უფლებით სარგებლობენ. სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მასების ჩაბმისა და მათი იურიდიული აღზრდის მნიშვნელოვანი ფორმაა.

სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით. საარჩევნო ოლქი, საარჩევნო დებულების მეოთხე მუხლის შესაბამისად, სდგება არა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, არამედ მოიცავს მთელ მოსახლეობას, რომელიც ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე ცხოვრობს. თვითეულ საარჩევნო ოლქში ირჩევენ ერთ სახალხო მოსამართლეს და 50-დან 75-მდე სახალხო მსაჯულს. სახალხო მსაჯულების რაოდენობას საარჩევნო ოლქების მიხედვით განსაზღვრავს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი.

სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად არჩევა შეიძლება ყოველი საბჭოთა მოქალაქისა, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 23 წელი, გარდა ნასამართლობის მქონე პირებისა. არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს სახელმწიფო ეწევა.

სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატები, კანონით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვით, რეგისტრირებულ უნდა იქნან რაიონის ან ქალაქის აღმასკომის მიერ არჩევნებამდე არაუგვიანეს 15 დღისა, რაც უნდა გამოქვეყნდეს არჩევნებამდე არაუგვიანეს 12 დღისა.

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს კენჭი უნდა ეყაროთ მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში. რეგისტრირებული კანდიდატები შეტანილ იქნებიან სათანადო ფორმის საარჩევნო ბიულეტენებში.

არჩევნებამდე არაუგვიანეს 10 დღისა აღმასრულებელი კომიტეტები ყველა საარჩევნო პუნქტს უგზავნიან საარჩევნო ბიულეტენებს, შედგენილს იმ საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე, სადაც ბიულეტენები იგზავნება, იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს ყველა ამომრჩეველს.

არჩევნები მოხდება ერთ დღეს — 19 დეკემბერს — დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ადგილობრივი დროით. ამ დღეს ამომრჩეველი საარჩევნო პუნქტში მიიღებენ ორ ბიულეტენს — ერთს სახალხო მოსამართლის და ერთს სახალხო მსაჯულების ასარჩევად. არჩევნებში მონაწილეობისათვის ამომრჩეველი წარადგენენ პასპორტს ან თავისი პიროვნების დამადასტურებელ სხვა საბუთს. ამომრჩეველნი ბიულეტენზე თავიანთ გვარს არ წააწერენ. ამით დაცულია ფარული არჩევნების პრინციპი.

იმის გამო, რომ სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს რაიონის მოსახლეობა ირჩევს, მატარებლებში, გემებზე, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, საავადმყოფოებში და სამშობიარო სახლებში საარჩევნო პუნქტები არ იქმნება, არც არჩევნების დღეს რაიონიდან წასულ პიროვნებას ეძლევა „ხმის მიცემის უფლების მოწმობა“.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნების სწორი ორგანიზაციის მიზნით სათანადო ახსნაგანმარტებითს მუშაობას. საგაზეთო მუშაობას საარჩევნო პუნქტებთან არსებული აგიტპუნქტები ეწევიან. საგაზეთო მუშაობა ეწყობა მხოლოდ არჩევნების დღემდე. აგიტაცია არჩევნების შენობაში ხმის მიცემის დროს კანონით დაშვებული არ არის.

აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულის მიერ საარჩევნო პუნქტში ხმის მიცემა დამთავრებულად ცხადდება ღამის 12 საათზე, რის შემდეგ დამთვლელი კომისია იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნას და ხმების დათვლას.

არჩევნების დებულება ითვალისწინებს, რომ თუ თანამდებობის პირი სიყალეს შეიტანს დოკუმენტებში ან განზრახ არასწორად დაითვლის ხმებს სახალხო სასამართლოების არჩევნების დროს, იგი დაისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

ჩვენს ქვეყანაში კანონით დაცულია მოქალაქეთა საარჩევნო უფლება. არჩევნების დებულებით გათვალისწინებულია, რომ ვინც ძალადობის, მოტყუების, მუქარის ან მოსყიდვის გზით ხელს შეუშლის საბჭოთა მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება არჩევნებში, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

საბჭოთა სასამართლო, საბჭოთა საარჩევნო კანონი სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპზეა აგებული. სახალხო მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი ხალხის რჩეულნი არიან და ამიტომ ისინი მშრომელთა ნების განმახორციელებელნი უნდა იყვნენ.

ამიტომ არის, რომ თავისი მართლმსაჯულების ორგანოების არჩევნებს საბჭოთა ხალხი ახალი სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობით უპასუხებს. არჩევნებში კომუნისტური პარტია გამოდის უპარტიოებთან ბლოკში. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები ჩვენი ხალხის უშუალო წარმომადგენლები არიან, რომლებსაც ხმას მისცემს ყოველი საბჭოთა მოქალაქე.

მომავალი არჩევნები საბჭოთა სასამართლო ორგანოების შემდგომი გაჯანსაღებისა და განმტკიცების ხელშემწყობი უნდა გახდეს, რაც კიდევ უფრო გაძლიერებს მათს როლს კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

დოცენტი ბ. ერემოვი.

კარგი ამინდის იმედით...

გორელი მეხილეები სამართლიანად ამაყობენ რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგის — მეხილეობის ხაზით უკანასკნელ წლებში მოპოვებული წარმატებებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა გორის რაიონის მშრომელებმა წელს ახალი მიღწევები მოიპოვეს ხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. რაიონში დიდად გადაჭარბეს ხილის მოსავლიანობის დაკალებას და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ათასობით ცენტნერი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

როგორც ცნობილია, ხილის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა შემოდგომიდან იწყება. ძირითადად ამ პერიოდში წარმოებს ხეხილის ბაღებში რიგთაშორის ხვნა, ძირების შემობარვა, სხვლა, წამლობა.

წლევანდელი თბილი, მზიანი შემოდგომა გორელ მეხილეებს საშუალებას აძლევდა ფართო ფრონტით გაეშალათ ეს სამუშაოები. შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგან კარგად გამოიყენეს დროის ფაქტორი — მოსავლიანობის გადიდების ეს მძლავრი რეზერვი. ახალუბნის კოლმეურნეობამ, ქვეშის კოლმეურნეობა „წითელმა ქართლმა“, ზერტის მალენკოვის სახელობის და ბერშუეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებმა ნოემბრის მიწურულისათვის დაამთავრეს ისეთი მთავარი სამუშაო, როგორიც არის ხეხილის ბაღებში რიგთა შორის ხვნა. აღნიშნული კოლმეურნეობები ამჟამად აძლიერებენ ხეხილის ძირების შემობარვას, წამლობის, სხვლის სამუშაოებს.

მაგრამ ასე როდია ყველგან. რაიონის მეტ წილ კოლმეურნეობებში მკვეთრად ჩამორჩა ხეხილის ბაღების საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები. სოფელ ძევერის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობა ერთი იმათგანია, რომლებსაც გასული წლის ნოემბრის პირველ ნახევარში მოსულმა ღრმა თოვლმა საშუალება არ მისცა განეხორციელებინათ ბაღებში საშემოდგომო სამუშაოები და მათი შესრულება მთლიანად გაზაფხულზე მოუხდათ.

საფიქრებელი იყო, რომ ამ მწარე გაკვეთილიდან კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ს. ელიავაშვილი) სათანადო დასკვნას გააკეთებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. აქ ხელიდან გაუშვეს ხეხილის ბაღების საშემოდგომო დამუშავების საუკეთესო პერიოდი — ნოემბერი, რის გამო ძევერაში 2 დეკემბრისათვის რიგთა შორის ხვნის დავალება მესამედითაც არ ჰქონდათ შესრულებული. ამასთანავე ჩამორჩა სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება.

გახედავ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის ბაღებს და თვალს არ უჯერებ, რომ მათ დიდ ნაწილს ამ შემოდგომაზე ადამიანის ხელი არ მიჰკარებია. კოლმეურნეობას, სადაც მარტო მეხილეობის ოთხი სპეციალური ბრიგადაა, რიგთა შორის ხვნა ჩატარებული აქვს 25 ჰექტარზე, მაშინ როცა აქ მსხმოიარე ხეხილის ბაღების ფართობი 105 ჰექტარს შეადგენს.

მერეთში ჩამორჩენას „ობიექტური მიზეზებით“ ხსნიან: რა ჩვენი ბრალია, თუ ხილის კრეფა ნოემბრის შუა რიცხვებამდე გაგვიგრძელდა და ამით საშემოდგომო სამუშაოები ჩამოგვრჩაო. მაგრამ შრომის სწორი ორგანიზაციისა და ძალთა გონივრულად გამოყენების პირობებში აქ შეეძლოთ ხილის კრეფაც უფრო ადრე დაემთავრებინათ და ხეხილის ბაღების მოვლის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებშიც უკეთესი მდგომარეობა ჰქონოდათ.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს ხეხილის ბაღების დამუშავება კარალეთის, ტირძნისის, ტყვიავის, კარბის, ტინისხიდის, ხურვალეთის კოლმეურნეობებში. არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაშიც (დირექტორი ბ. მამალაძე), რომელსაც გამართული მუშაობის ყველა პირობა აქვს და ჩამორჩენა არ ეპატიება.

როგორი მდგომარეობაა საერთოდ რაიონში? რიგთა შორის ხვნის დავალება სანახევროდაც არ არის განაღდებული, ხეხილის ძირების შემობარვის გეგმა შესრულებულია 7,9 პროცენტით.

ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სამუშაოთა მორიგეობით შესრულების არაჯანსაღი პრაქტიკა, რომლისგანაც დღემდე ვერ გათავისუფლებულა ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი.— „რა ვქნათ, ბაღების გულისათვის სხვა სამუშაოებს ხომ ვერ ჩამოვარჩენდით“, — განაცხადა სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარემ ა. შარაშიძემ. და ეს სიტყვები ეკუთვნის იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომლისთვისაც მეხილეობა მეურნეობის წამყვან, ყველაზე შემოსავლიან დარგს წარმოადგენს.

რაიონში ოთხი მძლავრი მტს-ია. მებაღეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის ჯერ კიდევ დაბალი დონე მექანიზატორებისაგან მოითხოვს არსებული ტექნიკის რაციონალურად გამოყენებას, ძალთა გონივრულად განაწილებას. მაგრამ ეს ასე არ არის. მტს-ების ხელმძღვანელებმა მხოლოდ ნოემბრის ბოლო რიცხვებში შეძლეს გადაეყვანათ მექანიზმები ბაღის სამუშაოებზე. ტრაქტორები ბევრგან სრული დატვირთვით არ მუშაობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთარმა გაართულა მექანიზატორთა მუშაობის პირობები, ზოგან მაინც დაინტერესებული არ არიან მათი საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით. სოფელ მეღვრეკისის კოლმეურნეობა „დიდი ლიახვის“ (თავმჯდომარე ვ. პარკაძე) ხეხილის ბაღებში მომუშავე მექანიზატორებმა განაცხადეს, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში კოლმეურნეობას მათთვის პური არ მიუწოდებია, ცხელ საჭმელზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ხეხილის ბაღებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოთა ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე ზოგიერთ კოლმეურნეობასა და მტს-ში შრომის დაბალი დისციპლინა, შრომის მოუწესრიგებლობა. ძევრის, მეღვრეკისისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა ერთი ნაწილი სამუშაოზე არ გაჩდის. 3 დეკემბერს ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღში, რომელიც მტს-თან მდებარეობს, კოლმეურნეთა ერთი ჯგუფი დღის 12 საათზე გავიდა სამუშაოდ.

არის აგროტექნიკის დარღვევის შემთხვევებიც. მაგალითად, სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ ხეხილის ბაღებში 38 ჰექტარი ისე მოხნეს, რომ ნიადაგში წინასწარ სასუქები არ შეუტანიათ. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნიადაგს ზერელედ ხნავენ.

ცნობილია, რა დიდ ზიანს აყენებენ ხეხილს მავნებლები. ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა შემოდგომიდანვე — ფოთლის დაცვიენის შემდეგ. მაგრამ შემოწმებამ ცხადყო, რომ ეს სამუშაო კოლმეურნეობებში შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ხეხილის ძირების შეფხეკა-შეთეთრება 1.500 ჰექტარის ნაცვლად შესრულებულია 207 ჰექტარზე, ბაღების წამლობა — 2.800-დან 517 ჰექტარზე. ხეხილის ბაღებში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანაც ჭიანურდება.

რაიონში კარგი ამინდის გაგრძელების გადაჭარბებული იმედი აქვთ. მაგრამ საეჭვოა დეკემბერში მაისის ამინდი დადგეს, მით უმეტეს, რომ მაღლობებზე უკვე ჩამოთოვა.

მდგომარეობა, რომელიც გორის რაიონში შეიქმნა ხეხილის ბაღების დამუშავების საქმეში, იმის შედეგია, რომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა შეასუსტეს ყურადღება საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებისადმი. ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკში თავი იჩინა წელს ხილის მოსავლიანობაში მიღწეული წარმატებებით დატკბობისა და თვითდამშვიდების გრძნობამ.

გორის რაიონის მშრომელებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ გამოასწორონ ჩამორჩენა და გადაჭრით დაიჩქარონ ხეხილის ბაღების მოვლის სამუშაოები, აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩაუყაროონ მომავალი წლის კიდევ უფრო უხვ, მყარ მოსავალს.

ბ. ზუკაკიშვილი,
მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

მუშები ცოდნას ეუფლებიან

ტყიბული. (საკ. კორ.). სულ ახალ-ახალი მანქანები და მექანიზმები ინერგება ტყიბულის ქვანახშირის შახტებში, უმჯობესდება ქვანახშირის ფენათა დამუშავების მეთოდები, ვრცელდება შრომის ორგანიზაციის მაღალი ფორმა — სადღეღამისო ციკლური გრაფიკი. ყოველივე ეს მეშახტეთა კვალიფიკაციის და ცოდნის ამაღლებას მოითხოვს. მრავალი მეშახტე და ტექნიკოსი უკვე სწავლობს მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში, გულმოდგინედ ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს. ზოგიერთი სკოლა ტექნიკოსი სწავლას განაგრძობს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებზ

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის წინ

შევქმნათ ღრმა იდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებები საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე

★

ამხანაგო მწერლებო, გაგვიცანით!

კარგი წიგნი ცხოვრების საგზურია. ის გასწავლის, შთაგაგონებს, გიჩვენებს შრომისა და ბრძოლის, წინსვლის გზას. როდესაც კითხულობ ნიკოლოზ ოსტროვსკის რომანს „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რწმუნდები, რომ სიძნელეებთან ბრძოლის, წინააღმდეგობათა დაძლევის გარეშე შეუძლებელია წინსვლა. გიყვარს გმირი, რომელსაც ასეთი გზებით მიუღწევია გამარჯვებისათვის.

ლეო ქიაჩელმა ჩვენ შეგვაყვარა გერა რომანიდან „გვადი ბიგვა“, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ტარასი ხახარაძე რომანიდან „კოლხეთის ცისკარი“, ალექსანდრე ჭეიშვილმა ქიშვარდი რომანიდან „ლელო“. ეს გმირები გაყვარებენ საბჭოთა სოფელს, გეძახიან თავისკენ, გიწვევენ ლაღი მინდვრებისაკენ, გეუბნებიან — აი როგორ ვიბრძვით, როგორ ვშრომობთ, როგორ გადავლახავთ ხოლმე წინააღმდეგობებს და როგორ ვაღწევთ წარმატებებსო. ეს გმირები კომუნისტები არიან, ბრძოლისა და შრომის ავანგარდში მყოფნი. ამ კომუნისტების სახე სამუდამოდ დაგვამახსოვრეს საყვარელმა მწერლებმა.

ჩვენ ვიცით სხვა გმირებიც, სხვა მწერლების მიერ დახატულნი სოფლის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში. მაგრამ აი გონების თვალს რომ მიმოვავლებ ჩემ მიერ წაკითხულს, ჩემი ან ჩემი ახლობელი მუშა კომუნისტების საკმაოდ მდიდარ ბიბლიოთეკებს, მეზადება კითხვა—რა წიგნი შეგვიძლია გადმოვიღოთ თაროდან, რომელიც მიძღვნილი იყოს ჩვენი მუშათა კლასის მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრების თემებისადმი, სადა გვაქვს მუშა კომუნისტის ნათელი სახე თავისი მდიდარი სულით, თავისი საინტერესო წარსულით, თავისი ნოვატორული საქმეებით და მომავლის პერსპექტივებით.

საუბარში, რომელიც ჩვენი ქარხნის რევოლუციურ წარსულს შეეხებოდა, ერთმა მუშა კომუნისტმა სამართლიანად შენიშნა: ჩვენ ბევრს ვამბობთ, გაზეთებიც ბეჭდავენ იმის შესახებ, რომ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა და მისი კოლექტივი სახელოვანია, დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონეა, ნოვატორების კერაა. საზეიმო დემონსტრაციებზე ჩვენი კოლექტივი მოწინავე კოლონად მიდის. ეს მოწინავეობა, ეს სახელი, ეს ტრადიცია მთელ კოლექტივთან ერთად მუშა კომუნისტებმა მიანიჭეს ჩვენს ქარხანას. მაგრამ სად არის ყოველივე ამის ჩვენება მხატვრულ ნაწარმოებში? რატომ არ უნდა გაიცნონ ჩვენი ქარხნის კომუნისტები ჩვენმა შვილებმა, ხალხმა?

ქართველმა მწერლებმა ჯერ კიდევ მთელი სისრულით ვერ მოგვცეს წარმოებაში მომუშავე კომუნისტის მართალი სახე. ჩვენი ქარხნის მუშა კომუნისტები ახლა ისეთები აღარ არიან, როგორიც, ვთქვათ, ორი ათეული წლის წინათ იყვნენ. თავიანთი საწარმოო ნოვატორობითა და გამოცდილებით, ახალი, თანამედროვე ტექნიკის ცოდნით, ცხოვრების კულტურით ბევრად როდი ჩამოუვარდებიან ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, ინტელიგენციას. ისინი მარტო დაზგასთან, საამქროებში როდი არიან მოწინავენი. ისინი პირად ცხოვრებაში, ოჯახურ ურთიერთობაში, სიყვარულის გრძნობაშიც მაგალითის მაჩვენებლები არიან. აი ასეთი კომუნისტის სახე გვჭირდება ლიტერატურაში.

მუშა კომუნისტის ცხოვრების ამსახველი მართალი წიგნი, მისი ნოვატორული და ავანგარდული როლი მოითხოვს მხატვრულ ასახვას. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ დღევანდელი მუშა კომუნისტის სახე იოლად, მსუბუქად, წინააღმდეგობებისა და ცხოვრების კონფლიქტების თუ დაბრკოლებათა გარეშე ჩამოყალიბდა. არა. დღევანდელი მუშა კომუნისტი თავისი ავანგარდული როლით, თავისი კულტურულობით შეუპოვარი შრომის, სწავლისა და ამ გზაზე მრავალ სიძნელეთა გადალახვის ნაყოფია. ჩვენ გვინდა გვყავდეს კიდევ უკეთესი კომუნისტები. სწორედ ამ უკეთესობისაკენ უნდა მოუწოდებდეს და მისი მიღწევის გზებს უნდა უჩვენებდეს ჩვენს კომუნისტებს ეს წიგნი. განა ვასილ აჟაევის რომანი „მოსკოვიდან დაშორებით“ კომუნისტების ზრდისა და მტკიცე ნებისყოფის გამოწრთობის სკოლა არ არის? აი ასეთი წიგნი გვინდა ჩვენ.

ამ დიდ და კეთილშობილურ ამოცანას მწერალი გასტროლიორობით ვერ შეასრულებს. იგი ღრმად უნდა იცნობდეს წარმოებას და მის ადამიანებს, მის ცხოვრებას. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი მწერლები ჩვენი ქარხნის, მისი კოლექტივის, მისი კომუნისტების იშვიათი სტუმრები არიან. ბევრი სხვა ჩემი კოლეგაც ალბათ წარმოთქვამს მსგავს სამდურავს.

მოდით, ამხანაგო მწერლებო, ჩვენთან, გაგვიცანით. ვფიქრობ, ბევრ რამეს შთაგაგონებთ ჩვენი წარმოება, ჩვენი მუშები. დარწმუნებული ვართ, რომ ნიჭიერი ქართველი მწერლები პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ მეტად საპატიო საქმეს. საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა უთუოდ ბიძგს მისცემს მათ ამ დიდი ამოცანის ღირსეულად განხორციელებაში.

ვ. ნინოშვილი,

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ახალი წიგნები

ძმობის ხიდი. სალიტერატურო კრებული (ქართულ ენაზე). „საბჭოთა მწერალი“, თბილისი 1954 წ. ტირაჟი 5.000, გვ. 332, ფასი 8 მან. 10 კაპ.

კრებული შედგება თბილისში მცხოვრები სომეხი მწერლების სურენ ავჩიანის, მკრტიჩ ასლანიანის, ვართან ატრიანის, რუბენ აღაბაბის, გეორგ გრიგის, არშაკ ვარდანიანის, წერუნ თორგომიანის, ჰოვანეს კარაიანის, ჰაიკ კარაპეტიანის, ლევან მეჰრაბიანის, ჰრაჩია მურადიანის პაჰარეს (ჰაიკ პეტროსიანი), ანდრანიკ საღათელიანის, ევფრატ სეკერეცის (კირაკოზოვი), ბენიკ სეირანიანის, ვართან სიმონიანის, მარტინ ქარამიანის, ვლადიმერ ჰოვჰანესიანის, საკა მანველიანის ნაწარმოებებისაგან.

კრებულს დართული აქვს მიჰრან ქრაჯიანის წერილი „საბჭოთა საქართველოს სომეხი მწერლები“ რომელშიც მოცემულია ამ მწერლების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. კრებულის რედაქტორია დ. შენგელაია.

სამშობლოს მიწა-წყალზე. მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული (ქართულ ენაზე), „საბლიტგამი“, თბილისი, 1954 წ. ტირაჟი 8.000, გვ. 190, ფასი 6 მან. 80 კაპ.

კრებულში შეტანილია ბ. პოლევოის, პ. ზაგრებელნის, ა. ოდინცოვისა და ლ. ფედოროვას, ვ. კატაევის, ა. იაშინის, ვ. ეურავსკისა და ე. ბოგმას, ა. ჭეიშვილის, მ. ასათიანის, ს. ხარაზიშვილის მოთხრობები და ნარკვევები.

კრებულის რედაქტორია ა. გაბესკირია.

◁ ★ ▷

მალე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა.

როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირის მრავალ სხვა ქალაქსა და სოფელში იმართება მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები მწერალთა მეორე ყრილობის დელეგატებთან, სადაც მკითხველები გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს და სურვილებს დიდი საბჭოთა ლიტერატურის შესახებ. მკითხველები მოითხოვენ, რომ ჩვენი მწერლები კიდევ უფრო ღრმად და ახლოს გაეცნონ საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს, მათს გმირულ შრომას კომუნიზმის მშენებლობის საქმეში და მაღალმხატვრულ ტილოებში ასახონ იგი.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ მკითხველების — პარტიული მუშაკის, მექანიზატორების, ინჟინერ-ტექნიკოსების, სტუდენტების წერილებს. დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველთა ამ კეთილშობილურ სურვილებს ერთსულოვნად გამოეხმაურებიან ქართველი მწერლები და გაითვალისწინებენ მათ თავიანთ შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში.

მწერლების ღირსების საქმე

გრანდიოზული ცვლილებები მოხდა საკოლმეურნეო სოფელში. მშრომელიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არა მარტო ქალაქებმა და სოფლებმა იცვალეს სახე, არამედ, რაც მთავარია, შეიცვალნენ ადამიანები, ამაღლდა მათი კულტურა და ამის შესაბამისად გაიზარდა ხალხის მოთხოვნილება ხელოვნებისადმი, მწერლობისადმი. ჩვენს რაიონში ამ სამი ათეული წლის წინათ ტრაქტორისა და ავტომანქანის გამოჩენა დიდი მოვლენა იყო, ახლა რაიონში რამდენიმე ასეული უახლესი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა მუშაობს. ამ მძლავრ ტექნიკას მართავენ გუშინდელი გუთნისდედები, მეხრეები, სოფლის უბრალო ადამიანები, გაიზარდა მექანიზატორთა მთელი ოჯახები. მაგალითად, ცნობილი ტრაქტორისტების ს. სანაშვილისა და ა. ხუბაშვილის ოჯახის ყველა წევრი ტრაქტორისტი, კომბაინერი ან ავტომანქანის მძღოლია.

ჩვენმა სოფელმა სრულიად შეიცვალა სახე. ელექტრობა, რადიომიღები, ელექტროთუთა, წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, სკოლა, სამკითხველო, კლუბი და ახალი ცხოვრების დამახასიათებელი სხვა ნივთები თუ დაწესებულებები მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში.

გვაგონდება ა. ცდაოვის შესანიშნავი სიტყვები: — ჩვენ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, და ხვალ ის აღარ ვიქნებით, რაც დღეს ვართ.

მაინც რას ფიქრობენ ტრაქტორისტები და კომბაინერები ჩვენს ლიტერატურაზე? იმას, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა ჯერ კიდევ დიდ ვალშია საკოლმეურნეო სოფლის ადამიანთა წინაშე, რომ ჯერ კიდევ ნაკლებია მკაფიო, მაღალმხატვრული ნაწარმოებები იმ ჭეშმარიტად დიდ ცვლილებებზე, რაც ადამიანთა შეგნებაშია და მათს შინაგან ბუნებაში მოხდა.

ეს განსაკუთრებით ითქმის ქართულ მწერლობაზე. რუსი მწერლები ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევიან. რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ წავიკითხეთ გ. ნიკოლაიევას „ბეჯა“, წიგნში დიდი მოწონება გამოიწვია. უფრო გაგვახარა იმავე ავტორის ახალმა ნაწარმოებმა „ამბავი მტსის დირექტორისა და მთავარი აგრონომისა“. მექანიზატორებს უყვართ მ. შოლოხოვის, ს. ბაბაევსკის, ე. მალცევის, ვ. ოვეჩკინის, ვ. ზაკრუტკინის და სხვათა წიგნები, რომლებიც საკოლმეურნეო სოფლის ადამიანებისა და მექანიზატორების თავდადებულ შრომაზე მოგვითხრობენ.

ამ წიგნებში ჩვენ ვხედავთ ისეთ გმირებს, რომლებსაც გვინდა მივბაძოთ. ისინი გამსჭვალული არიან კომუნისტური მორალის შესაბამისი თვისებებით. შემოქმედებითი შრომა, საერთო საქმისათვის თავდადება მათი ცხოვრების ყველაზე ულამაზესი და შთამაგონებელი მხარეა.

სამწუხაროდ, ქართველი მწერლები უკანასკნელ წლებში საკოლმეურნეო თემაზე ნაკლებად მუშაობენ. მათ არ შეუქმნიათ ცოტად თუ ბევრად დასამახსოვრებელი სახეები ჩვენი სოფლის სინამდვილიდან, არ მოუცია ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი ნაწარმოებები.

ეს მით უფრო საწყენია, რომ ქართულ ლიტერატურას საკოლმეურნეო ცხოვრების ასახვის მშვენიერი ტრადიცია აქვს. უკვე რამდენი ხანი გავიდა ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვას“, კ. ლორთქიფანიძის. „კოლხეთის ცისკარის“ გამოქვეყნების შემდეგ, მაგრამ ჩვენს გონებაში მათი გმირები ახლაც ცოცხალია. ეს ნაწარმოებები უყვარს მკითხველს. მაგრამ ისინი კოლექტივიზაციის მხოლოდ პირველ პერიოდს ასახავენ.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ საკოლმეურნეო ცხოვრებაზე უკანასკნელ დროს თითქოს არაფერი დაწერილა. მკითხველი კარგად იცნობს მ. მრევლიშვილის, გ. შატბერაშვილის, ა. ადამიას, ო. ჩხეიძის, ბ. ჩხეიძის და სხვათა მოთხრობებსა და ნარკვევებს, რომლებიც თანამედროვე სოფლის სიუჟეტზე არის აგებული, მაგრამ ისინი თავიანთი იდეური და მხატვრული ღირსებით მთლიანად ვერ უპასუხებენ მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას.

ჩვენ გვიყვარს საბჭოთა მწერლობა. იგი გვაზრდის, გვზრდის, გზას გვინათებს დიადი მომავლისათვის ბრძოლაში. კარგი წიგნი ისევე საჭირო ჩვენთვის, როგორც პური, როგორც ჰაერი. ამიტომაც გვახარებს ჩვენი ლიტერატურის თვითეული წარმატება და გულს გვტკენს მისი ჩამორჩენა.

რაშია საქმე? რატომ ჩამორჩა ქართული საბჭოთა პროზა, რატომ არა გვაქვს კარგი რომანი, მოთხრობა და ნარკვევი საკოლმეურნეო თემაზე? აი ის საკითხები, რომლებზეც ვკამათობთ ხოლმე მექანიზატორები.

ფიქრობთ, ამაში დამნაშავენი არიან თვითონ მწერლები, რომლებიც ახლოს არ იცნობენ ცხოვრებას. როგორც ვიცით, არცერთი ქართველი მწერალი არ ცხოვრობს უშუალოდ კოლმეურნეობაში. მტს-ში, საბჭოთა მეურნეობაში ეგრეთწოდებული მოკლევადიანი შემოქმედებითი მივლინება საქმეს ვერ შველის. რამდენ საინტერესოს ნახავდა, მაგალითად, ჩვენთან მწერალი, თუ კი აქ იცხოვრებდა, რამდენ ადამიანს გაიცნობდა, რა შესანიშნავ მასალას მოაგროვებდა თავისი მომავალი წიგნისათვის.

დიდი ქართველი მწერლები ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი მუდამ ხალხში ტრიალებდნენ, ხალხის ჭირვარამის ცოდნამ მისცა მათ ის შემოქმედებითი ენერგია, რითაც ისინი კლასიკურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ.

ახლოვდება საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა. ამასთან დაკავშირებით გვსურდა რამდენიმე შეკითხვა მიგვეცა ჩვენთვის საყვარელი მწერლებისათვის:

ჩვენ სიამოვნებით ვკითხულობთ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარმოებებს. გვიყვარს ტარასი ხახარაძე, აგრონომი გეგელია, პირველი მექანიზატორი მექი, მაგრამ ალარაფერი ვიცით, როგორ არიან ისინი დღეს, რატომ არ წერს მწერალი მათ შესახებ და საერთოდ რატომ არ ასახავს თანამედროვე სოფლის ადამიანებს?

ლეო ქიაჩელის გვადი ბიგვა ახლაც თვალწინ გვიდგას. გვადი გავიცანით საკოლმეურნეო ცხოვრების გარიჟრაჟზე. საინტერესოა სად არის იგი დღეს, რას აკეთებენ მისი შვილები ახლა, სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის დროს.

ასეთსავე შეკითხვას ვიძლევთ სხვა მწერლებსაც.

აი რა გვინდოდა გვეთქვა დღეს ქართველი მწერლებისათვის, აი რაზე კამათობენ ხოლმე სოფლის მექანიზატორები.

ა. კოგაიძე,
დუშეთის მტს-ის ინჟინერ-მექანიკოსი,
ვ. ბოდაველი,
დუშეთის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი,
ს. ნაჯღლაიძე,
მტს-ის ტრაქტორისტი.

რას მოვითხოვთ ქართველი საგჭოთა მწერლებისაგან

დღითიდღე იზრდება საქართველოს მეტალურგების ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქი რუსთავი. მეტალურგთა მრავალრიცხოვან არმიას ამას წინათ შეემატნენ მეზრმეველები, მეფოლადეები, მგლინაველები, მეკოქსეები. რუსთავი ინტერნაციონალური ქალაქია. 22 ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ აქ. მეგობრულად, ხელიხელჩაკიდებულნი წარმატებით იბრძვიან ქალაქის შემდგომი გაშენებისათვის, იმისათვის, რომ საბჭოლოს მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები.

როგორ აისახა ეს სიახლენი ქართულ საბჭოთა მწერლობაში? უკანასკნელი წლების მანძილზე გამოქვეყნდა ქართველი მწერლების რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც მიძღვნილია რუსთავის მეტალურგიული გიგანტის მშენებლობისა და ამ მშენებლობის პროცესში მონაწილე ადამიანების ცხოვრებისადმი. ასეთია ალიო მარცხულავას პოემა „რუსთავი“, სოლომონ თაყაიშვილის რომანი „ქართული ფოლადი“, ხუტა ბერულავას პოემა „რუსული გული“, ალეკო შენგელიას ლექსების ციკლი „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“. ოთარ ჭელიძის პოემა „რუსთავის გარიჟრაჟი“ და სხვ. მაგრამ ჩამოთვლილ ნაწარმოებებს ერთგვარ ღირსებებთან ერთად, სამწუხაროდ, სერიოზული ნაკლიც ახასიათებთ. ს. თაყაიშვილის „ქართული ფოლადი“ ვერ გვაძლევს რუსთავში მომუშავე ახალ ადამიანთა ნამდვილ სახეებს. მკრთალად არის დახატული მთავარი მოქმედი პირი ტარიელ ბარველიძე, რომელიც ავტორმა ხელოვნურად გახლართა ოჯახური ინტრიგების ქსელში. მწერალმა ბარველიძე დაუკავშირა ოზიავტელს, წარსულის გადმონაშთებით აღსავსე ქალს და ამის შედეგად ვერ მოგვცა მოწინავე ადამიანის, კომუნისტის დამაჯერებელი, ტიპიური მხატვრული სახე.

ალიო მარცხულავას უცდია თავისი პოემა კონფლიქტით გაემძაფრებინა, მაგრამ პოეტი მიზანს ყველგან ვერ აღწევს. ნაკლებ „საკონფლიქტოა“, მაგალითად. ორი ინჟინრის დავა იმაზე, თუ როგორი სახლების აგება სჯობია რუსთავში — კოტეჯის ტიპისა თუ მრავალსართულიანისა.

ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკი აკაკი ბელიაშვილის რომანის „რუსთავის“ იდეურ-მხატვრულ ღირსებაზე, რადგან გამოქვეყნებულია მხოლოდ ნაწილი.

რუსთავში გაჩნდა ახალი ადამიანი—მეტალურგ, ახალი თვისებებით, მისწრაფებითა და განცდებით. მას დიდი საზრუნავი აქვს: იგი ეძებს საწარმოს გამოუყენებელ რეზერვებს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის.

მეტალურგს სჭირდება აზრის დაძაბვა, დაუსრულებელი ძიება, დიდი დაკვირვება, რომ განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი. ამ შემოქმედებითს, ნოვატორულ ძიებაში იბადება მისი სიხარულიც და დროებითი შეფერხებებთ გამოწვეული გულისტკივილიც, მიზნის მიღწევით მიღებული სიამოვნება, ოჯახური სიხარო, უკეთეს მომავალზე ოცნება, დაბრკოლებანი და მათი დაძლევის ძალა. ის, რასაც განიცდის სასახელო შრომაში ჩაბმული ადამიანი, ახალგაზრდა ქართველი მეტალურგი, უნდა გადაიქცეს ლიტერატურული ნაწარმოების უმნიშვნელოვანეს თემად.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქართულ პროზაში გამოჩნდა რომანები მუშათა კლასის ცხოვრებიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია მწერალ ლ. ავალიანის რომანი „ახალი ჰორიზონტი“, რომელიც ასახავს ტყიბულის მეშახტეთა ცხოვრებას. რომანის გამოქვეყნებულ პირველ და მეორე წიგნში მწერალმა უთუოდ შესძლო მუშათა კლასის ცხოვრებისა და შრომის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნების დახატვა, მაგრამ რამდენადაც რომანი დასრულებული არ არის, ჯერჯერობით მისი სრული შეფასება ძნელია.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა უნდა დაამშვენოს მეტალურგის ცხოვრების ამსახველმა მაღალმხატვრულმა ნაწარმოებებმა. მაგრამ, სამწუხაროდ, წამყვანი საბჭოთა მწერალი ქალაქ რუსთავის იშვიათი სტუმრები არიან. ამ თემაზე ნაწარმოების დაწერა კი მოითხოვს, მწერალი ღრმად ჩასწვდეს მეტალურგის ცხოვრებას, დაკვირვებით გაეცნოს მის შრომას და ყოფა-ცხოვრებას, დადგეს საამქროში მეფოლადის, მგლინავის გვერდით, თვით გახდეს, თუ მონაწილე არა, მოწმე მაინც ამ შემოქმედებითი შრომისა. უამისოდ ლიტერატურული ნაწარმოები სრულყოფილი არ იქნება, ვერ აღელვებს დიდი მხატვრული გემოვნების მქონე საბჭოთა მკითხველის გულს. მოვიგონოთ როგორი აღფრთოვანებით მიიღო მკითხველმა კოჩეტოვის „ეურბინები“, პოპოვის „ფოლადი და წიდა“, პოლევოის „ცხელი საამქრო“, მისივე მოთხრობათა კრებული „თანამეფრთვენი“ და სხვ. დიდი ინტერესით აღიქვამს მკითხველი თვალს ფადეევის მუშაობას ახალ რომანზე „შავი მეტალურგია“. იმ ნაწყვეტების მიხედვითაც, რომლებიც უკვე გამოქვეყნდა, მწერალს გამარჯვება განპირობებულია თემის ღრმა ცოდნით, ცხოვრებასთან ახლო ყოფნით.

ჩვენ, მეტალურგები, სწორედ ასეთ ნაწარმოებებს მოველით ქართველი მწერლებისაგან. მათ აქვთ ამის შესაძლებლობა. მით უმეტეს, რომ რუსთავი დიდი მანძილით არ არის დაშორებული თბილისს.

ხშირად უნდა მოეწყოს ქართველი მწერლების შეხვედრა რუსთავის მეტალურგებთან. ამ შეხვედრებზე მწერლები მრავალ საყურადღებო, სამართლიან მოთხოვნასა და შენიშვნებს მოისმენენ მეტალურგებისაგან, რაც დიდად დაეხმარება მათ მომავალში უფრო სრულყოფილ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნაში.

ინჟინერ-ეკონომისტი ბ. გურული,
მეფოლადე შ. კუხალეიშვილი,
გლინვის ოსტატი ს. ჟუთელია.

◁ ★ ▷

თბილისი. კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

სრულყოფილად ავსახოთ ახალგაზრდობის ცხოვრება

ლენინურმა კომკავშირმა ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა განვლო. ჩვენი ახალგაზრდობის ამ ბრძოლამ და საქმიანობამ სათანადო ასახვა ჰპოვა საბჭოთა ლიტერატურაში. ამ მხრივ საუკეთესო ნიმუშები მოგვცა რუსულმა ლიტერატურამ. პავკა კორჩაგინი, ოლეგ კოშევოი, სერგეი ტუტარინოვი—ნ. ოსტროვსკის, ა. ფადეევის, ს. ბაბაევსკის ეს გმირები ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელ ადამიანებად იქცნენ.

საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრების ასახვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველი მწერლების შემოქმედებაში. ცნობილმა ქართველმა პროზაიკოსებმა და პოეტებმა ლ. ქიაჩელმა, კ. ლორთქიფანიძემ, ა. ჭეიშვილმა, ა. მირცხულავამ, ი. აბაშიძემ, ი. ნონეშვილმა და სხვებმა ამ თემაზე ბევრი კარგი ნაწარმოები შექმნეს.

მწერალს, „ადამიანის სულის ინჟინერს“, ოსტატობასთან ერთად ცხოვრების დიდი ცოდნა სჭირდება, რათა გვიჩვენოს ნამდვილი ადამიანები მათი გრძნობებითა და განცდებით, მათი ტიპიური თვისებებით.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში გვყავს ხორცშესხმულად დახატული ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანები, მაგრამ ის, რაც დაიწერა, ჩვენს სინამდვილესთან, ჩვენს წარმატებებთან შედარებით ცოტაა. ახალგაზრდა მუშა თუ კოლმეურნე, სტუდენტი თუ მეცნიერმუშაკი, მოსწავლე თუ სპორტსმენი მწერლობისაგან მოელიან ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც სრულყოფილად იქნება ასახული მათი შინაარსიანი ცხოვრება.

რატომ არ უნდა გვქონდეს კარგი რომანები ან პოემები მეგობრობის შესახებ, რატომ არ უნდა ვხედავდეთ ამ თემაზე ამაღელვებელ ნაწარმოებებს სცენიდან თუ ეკრანიდან? განა ჩვენი ახალგაზრდები უანგარო მეგობრობის ცოტა ნიმუშს გვაძლევენ?

ისეთი უაღრესად ადამიანური ფაქიზი გრძნობაც კი, როგორიც არის სიყვარული, ჩვენი მწერლების შემოქმედებაში ჭეშმარიტ ასახვას ვერ პოულობს. ჩვენი მორალი და აქედან გამომდინარე სასიყვარულო ურთიერთობაც სულ სხვაა. ამ ახალს კი ზოგიერთი მწერალი იშვიათად ამჩნევს.

ჩვენ მოხარული ვიქნებოდით წაგვეკითხა ნაწარმოებები სტუდენტთა ყოფაცხოვრების შესახებ, რომელზეც, შეიძლება ითქვას, თითქმის სულ არაფერი იწერება. აქვე უნდა შევნიშნოთ: ჩვენს უნივერსიტეტს საკმაოდ თვალსაჩინო ლიტერატურული ძალები ჰყავს. რას უნდა იცნობდნენ ყველაზე მეტად ეს ახალგაზრდა მწერლები, თუ არა სტუდენტთა ცხოვრებას. მაგრამ თვალი გადავავლოთ სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახის „პირველი სხივის“ ახლახან გამოცემულ მეოთხე წიგნს და დავინახავთ, თუ რა მკრთალად არის წარმოდგენილი მასში სტუდენტთა მრავალფეროვანი საქმიანობა, მაშინ როცა ამ წიგნში ნახავთ ნაწარმოებებს სხვა თემებზე.

ქართულ მწერლობაში სრულიად უგულებელყოფილია მეცნიერულ-პოპულარული და ფანტასტიკური სათავგადასავლო თემები, რომლებიც დიდად აინტერესებს ახალგაზრდობას.

საბჭოთა ახალგაზრდობა კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებშია, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთებიც, რომლებიც არცხვენენ კომკავშირელის სახელს. ჩვენმა ლიტერატურამ მკაცრად უნდა ამხილოს და დაგმოს კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთები: ლოთობა, ზარმაცობა, ხულიგნობა, რაც ხელს უშლის ჩვენი ახალგაზრდობის წინსვლას.

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის წინ მკითხველთა მთელი გულისყური მიპყრობილია ჩვენი მწერლებისაკენ. ახალგაზრდობა ქართველი მწერლებისაგან მოითხოვს ცხოვრების მრავალფეროვნების ამსახველ ნაწარმოებებს, ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც მაღალიდეურობა ორგანულად იქნება შერწყმული მაღალმხატვრულ ფორმასთან.

ა. სამსონია,
თ. ბიბილური,

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტები.

შეხვედრები საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატებთან

ამ დღეებში საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტმა ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოაწყო საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მკითხველთა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატები.

მკითხველთა კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ.

მოხსენება „ახალგაზრდობა საბჭოთა ლიტერატურაში“ გააკეთა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. ვ. კაკბარაძემ.

თანამოსაუბრენი — „ახალგაზრდობის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ — გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ი. ჩხეიძე.

კონფერენციაზე სიტყვები წარმოთქვეს და ლექსები წაიკითხეს მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატებმა: ბ. ჟღენტმა, ს. მანდიაშვილმა, ა. ჭეიშვილმა, ა. გომიაშვილმა, ხ. ბერულავამ, ი. ნონეშვილმა, თ. ჯანგულაშვილმა, აგრეთვე პოეტებმა ა. კალანდაძემ, ნ. კილასონიამ, მ. ლებანიძემ, ვ. გორგაძემ, თბილისის მე-6 სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ ნ. მახარაძემ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის ასპირანტმა ე. ულგულაშვილმა, პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშამ ს. ზაქაიძემ, ნორჩმა მკითხველებმა: თ. ლაბარტყავამ, ნ. გაბრიჩიძემ და სხვ.

მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში უყრადღება გაამახვილეს იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას თანამედროვე საბჭოთა და განსაკუთრებით ქართველი საბჭოთა მწერლების წინაშე.

* * *

6 დეკემბერს თბილისის მასწავლებლის სახლში პედაგოგები შეხვდნენ მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატებს.

შეხვედრა გახსნა თბილისის მასწავლებლის სახლის დირექტორმა ამხ. რ. გობეჯიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ 62-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გ. იასეშვილი, 44-ე საშუალო სკოლის ამავე საგნის მასწავლებელი ი. ბურჭულაძე, 104-ე საშუალო სკოლიდან — ფ. ნიშნიანიძე, 35-ე საშუალო სკოლიდან — გ. ჯავახიშვილი, მასწავლებლის სახლთან არსებული ლიტერატურული წრის წევრები ი. ჩიკვაიძე, ა. ხაიაური და სხვ.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ იმ უდიდეს მნიშვნელობას, რაც მწერლებისა და მასწავლებლების დაახლოებას აქვს ჩვენი მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს და ახალი საკუთარი ნაწარმოებები წაიკითხეს გ. ტაბიძემ, კ. კალაძემ, ხ. ბერულავამ, ა. ჭეიშვილმა და მ. მრევლიშვილმა.

შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას ღებულნენ: თბილისის ორჯონიკიძის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლების მომღერალთა გუნდი, თბილისის მასწავლებლის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ansamblი და ბავშვთა ქორეოგრაფიული წრე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდება კორეის საკითხის განხილვა. 6 დეკემბრის დილის სხდომაზე გამოვიდნენ ბელგიის, პოლონეთის, სირიის, ბელორუსიის სსრ წარმომადგენლები, აგრეთვე გომინდანელი.

ბელგიის დელეგატისა და გომინდანელის სიტყვები მიმართული იყო დაინტერესებულ ქვეყნებს შორის კორეის საკითხზე მოლაპარაკების განახლების წინააღმდეგ და საბჭოთა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს ამ მოლაპარაკების განახლებას.

პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა ს. სკშეშევსკიმ, დაიმოწმა რა მასალები და გამოცდილება კორეაში დაზავების სამეთვალყურეო კომისიისა, რომელიც ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შედგება და რომლის შემადგენლობაშიც პოლონეთის წარმომადგენლები შედიან, ცხადყო, რომ ლისინმანელი და ამერიკელი ხელისუფალნი სისტემატურად უხეშად არღვევენ დაზავების შესახებ შეთანხმების პირობებს. სკშეშევსკიმ კომიტეტს მოაგონა, რომ მრავალ ათასეულ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეს შესაძლებლობა არ მიეცა დაბრუნებულიყო სამშობლოში და მათი ნაწილი ძალად შეიყვანეს უცხოეთის არმიებში. ბევრი სამხედრო ტყვე, რომელიც ცდილობდა სამშობლოში დაბრუნებას, მოკლულ იქნა.

სკშეშევსკიმ მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, როცა ეგრეთწოდებულ გაერთიანებული ერების სარღლობას დაზავების პირობების საწინააღმდეგოდ სამხრეთ კორეაში შეჰქონდა იარაღი და საომარი მასალები. მან მოიყვანა აგრეთვე ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ლისინმანელი და ამერიკელი ხელისუფალნი ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ ნეიტრალური კომისიის მუშაობა სამხრეთ კორეაში.

პოლონეთის წარმომადგენელმა კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, რომ სამხრეთ კორეაში იწყნარებენ ისეთ მოქმედებას, რომელიც არა მარტო საფრთხეს უქმნის კომისიის პოლონელი და ჩეხი წარმომადგენლების სიცოცხლესა და უშიშროებას, არამედ ხელს უშლის ამ კომისიის სხვა წევრების წარმატებით მუშაობასაც.

პოლონეთის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელშეკრულება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ლი სინ მანის მთავრობას შორის დაიდო და რომელიც შეერთებულ შტატებს უფლებას ანიჭებს სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე იყოლიოს თავისი შეიარაღებული ძალები განუსაზღვრელი დროით, უხეშად არღვევს შეთანხმებას დაზავების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანას. ეს ხელშეკრულება, განაცხადა მან, ნიშნავს კორეის ტერიტორიის უვადო ოკუპაციას უცხოელთა მიერ და წარმოადგენს ცდას წინასწარ გადაწყვიტონ კორეის მომავალი, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება კორეის საკითხებზე პოლიტიკური კონფერენციის შედეგები.

შეეხო რა ეგრეთწოდებული „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის“ სამარცხვინო საქმიანობას, პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა: „ეს კომისია იმათი იარაღი გახდა, ვინც ესწრაფოდა კორეაზე გბატონობას. იგი გახდა აგრესიის შენიღბვის შირმა, ლი სინ მანის მთავრობის პროვაგანდის ორგანო, რომელიც ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სიძულვილს ნერგავს. მისი მფარველობით ეწყობა ტერორი და მოსახლეობისადმი მხეცური მოპყრობა. მე მგონია, რომ უკვე დროა გამოვიყვანოთ დასკვნები ამ ორგანოს საქმიანობიდან და თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მოთხოვნების შესაბამისად გავაუქმოთ ეს კომისია“.

შემდეგ სკშეშევსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თხუთმეტის მოხსენება ობიექტური არ არის და ეს სახელმწიფოები ამაოდ ცდილობენ თავიანთი მოხსენება მიუკერძებელ დოკუმენტად გაასაღონ. ამ თხუთმეტმა სახელმწიფომ, თქვა მან, ყოველგვარი უკანონო საშუალება გამოიყენა, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კორეაში მეომარ მხარედ გაეხადა. ამერიკის სარდლობა თავის თავს უწოდებდა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობას, ხოლო შეერთებული შტატების ჯარებს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს. იმ თვითმფრინავების ფრთებზეც კი, რომლებიც ნაპალმის ბომბებს უშენდნენ კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, სიკვდილსა და ნგრევას თესავდნენ, უკანონოდ იყო გამოსახული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ემბლემა. ეგრეთწოდებულმა გაერთიანებული ერების სარდლობამ როგორც მეომარმა მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას დაზავების შესახებ, ახლა კი იმავე თხუთმეტ სახელმწიფოს, რომლებიც კვლავ ეფარებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელს, სურს გამოვიდეს როგორც „ნეიტრალური“ არბიტრი კორეის საკითხში.

დასასრულ პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მოითხოვს კორეის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრას დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების გზით და ამიტომ სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებებს.

სირიის წარმომადგენელმა შუკეირმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები, რომლებიც მთელ თავიანთ მეევრმეტეკვლეულებას იყენებენ გაერთიანებული ერების „ავტორიტეტის დასაცავად“, თვითონ უთხრიან ძირს ამ ავტორიტეტს და მხოლოდ მაშინ მოაგონდებათ იგი, როცა ეს მათთვის ხელსაყრელია. სირიის დელეგატმა განაცხადა, რომ მტკიცება, თითქოს „კომუნისტები უარყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს“ კორეის საკითხის გადაჭრაში, არ შეესაბამება სინამდვილეს. უთანხმოება მზარეებს შორის კორეის საკითხში, რარიგ დიდიც უნდა იყოს იგი, თქვა შუქეირმა, დაკავშირებულია არა პრინციპებთან, არამედ პროცედურასთან, ამ მიზნების მიღწევის მეთოდებთან. რამდენადაც დავა შეეხება პროცედურის საკითხებს, მოლაპარაკება არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიც ხდება.

სირიის წარმომადგენელმა სინანული გამოთქვა, რომ პოლიტიკური კომიტეტი არ დათანხმდა მოესმინა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა თვალსაზრისი. ხალხთა ბედი, თქვა მან, შეუძლებელია გადაწყდეს მათი წარმომადგენლების დაუსწრებლად. ეს სამართლიანობის ელემენტარული პრინციპია. გაერთიანებული ერები ვერ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზნებს, თუ ამ პრობლემას შემდეგშიც განიხილავენ ისე, რომ მონაწილეობას არ იღებდეს ყველა დაინტერესებული მხარე.

სირიის დელეგატმა აღნიშნა, რომ თხუთმეტის მოხსენება უარყოფს მოლაპარაკების შესაძლებლობას და საჭიროებას, და რომ ამიტომ თხუთმეტი ქვეყნის რეზოლუცია, რომელიც იწონებს ამ მოხსენებას, გზას უხშობს პროგრესს კორეის საკითხის მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრაში.

ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაურმა კ. ვ. კისელიოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა ის გარემოება, რომ მთელი რიგი იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ინტერვენციაში კორეის წინააღმდეგ, და კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა, თავიანთ გამოსვლებში სცადეს ისე წარმოედგინათ საქმე, თითქოს სწორედ ევნევის თათბირი იყო ის პოლიტიკური კონფერენცია კორეის საკითხზე, რომლის მოწყობა გათვალისწინებულია გენერალური ასამბლეის 1953 წლის 28 აგვისტოს რეზოლუციით. ამგვარ განცხადებათა მიზანია, თქვა მან, არ დაუშვან ამჟამად კორეის შესახებ თათბირის მოწვევა დაინტერესებული ქვეყნების მონაწილეობით და ამ საკითხის გადაჭრა გადასცენ ერთ-ერთ მეომარ მხარეს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციას — ისე, რომ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა არ მიიღოს მეორე მხარემ. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები და თხუთმეტის მოხსენების სხვა ავტორები არასწორად აშუქებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის პოზიციებს კორეის საკითხში, ამახინჯებენ შემოტანილ წინადადებათა არსს, ხოლო ამ ქვეყნების მთელ რიგ წინადადებებს პირდაპირ დუმილით უვლიან გვერდს. ამით ისინი ცდილობენ მოიხსნან პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ევნევაში ჩაიფუშა მოლაპარაკება კორეის საკითხზე.

ბელორუსიის დელეგაციის აზრით, თქვა კისელიოვმა, დიდი და ძნელი საერთაშორისო საკითხები უნდა წყდებოდეს კონფერენციებსა და თათბირებზე მოლაპარაკების გზით, ურთიერთმისაღები პირობებით, ისე რომ გათვალისწინებულ იქნას ყველა მხარის აზრები და ინტერესები. ევნევის თათბირზე კორეის საკითხის განხილვის მთელი მსვლელობიდან ჩანს, რომ 15 სახელმწიფოს არ განუხორციელებია და არც ცდილა განეხორციელებინა რაიმე რეალური ღონისძიებანი კორეის საკითხის გადასაჭრელად. პირიქით, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ხაზი გაესვათ და გაეღრმავებინათ უთანხმოება თათბირის მონაწილეთა შორის.

ევნევის თათბირის წარუმატებლობა კორეის საკითხში მთლიანად და სავსებით აიხსნება იმით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს და იმ ქვეყნებს, რომლებიც მათ მიჰყვებიან, არა სურთ დათანხმდნენ იმაზე, რომ კორეა მშვიდობიანად გაერთიანდეს და შეიქმნას ერთიანი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი კორეის სახელმწიფო. როგორც ცნობილია, ევნევაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ წამოაყენა მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა საფუძველზე შეიძლებოდა შეთანხმება კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ. ამ წინადადებებს მხარი დაუჭირეს და შეავსეს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციებმა.

იოსიდას კაბინეტის გადადგომა

შანხაი, 7 დეკემბერი. (საკუთარი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, დღეს იოსიდას კაბინეტი გადადგა- ისე, რომ არ დაელოდა კენჭისყრას ნდობის შესახებ რეზოლუციისათვის, რომელიც შეიტანეს 6 დეკემბერს პარლამენტის ქვედა პალატაში „დემოკრატიულმა პარტიამ“, აგრეთვე მემარცხენე და მემარჯვენე სოციალისტურმა პარტიებმა. ამ რეზოლუციას ქვედა პალატის 467 წევრიდან მხარი დაუჭირა 252 დეპუტატმა.

იოსიდას კაბინეტის გადადგომას წინ უძღოდა მწვავე პოლიტიკური ბრძოლა მმართველ ლიბერალურ პარტიასა და ზემოაღნიშნულ ოპოზიციურ პარტიებს შორის. ამ ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია, როცა ოპოზიციური პარტიები შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ ერთობლივად გამოსულიყვნენ იოსიდას მთავრობის წინააღმდეგ და გამოეტანათ მისთვის უნდობლობის ვოტუმი. უნდობლობის ვოტუმის განხილვის წინ მმართველ ლიბერალურ პარტიას ქვედა პალატაში ჰქონდა 185 ადგილი, „დემოკრატიულ პარტიას“ — 120 ადგილი, მემარცხენე და მემარჯვენე სოციალისტებს — 133 ადგილი. მაგრამ ამ უკანასკნელ მომენტამდე ცხადი არ იყო, გადადგებოდა იოსიდას კაბინეტი თუ დაითხოვდა პარლამენტს და მოაწყობდა ახალ არჩევნებს.

აღნიშნავენ, რომ იოსიდას კაბინეტის გადაწყვეტილება — გადამდგარიყო მიღებულ იქნა საფინანსო-სამრეწველო წრეების ზეგავლენით, რომლებიც ცდილობდნენ არ დაეშვათ პარლამენტის დათხოვნა იმის შიშით, რომ მემარცხენე ძალები განამტკიცებენ თავიანთ მდგომარეობას პარლამენტის ახალი არჩევნების შედეგად.

ღი სინ მანი ომისაკენ მოუწოდებს

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკუთარი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს სეულელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს ლი სინ მანმა კვლავ ისტერიულად მოუწოდა დაიწყოს ომი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ლი სინ მანმა განაცხადა, რომ მას აქვს თავისი საკუთარი „გეგმა კორეის გაერთიანების დაჩქარებისა“, გულისხმობდა რა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით ჩრდილოეთიკენ გალაშქრების ყბადაღებულ გეგმას.

ლი სინ მანმა კვლავ მოითხოვა გაადევის სამხრეთ კორეიდან დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის ჩეხოსლოვაკი და პოლონელი წევრები, რომელთა საქმიანობა, როგორც ცნობილია, ხელს უშლის ლისინმანელთა საომარი მზადების განხორციელებას.

კორეაში ახალი სამხედრო ავანგარდის გაჩაღების ცდები

იუნაიტედ პრესის საგენტოს ცნობა

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკუთარი). იუნაიტედ პრესის საგენტოს ვიცე-პრეზიდენტი და აზიის განყოფილების ხელმძღვანელი ჰობარიტი ტოკიოდან იუწყება:

„დღეს მაღალი თანამდებობის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები აზიაში „მზად არიან საბრძოლველად“, თუ კორეაში კვლავ დაიწყება ომი... მათ აგრეთვე აღნიშნეს, რომ, მათი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ ომი განახლდა, საეჭვოა რომ ბრძოლა წარმოიდგეს მარტო კორეის ნახევარკუნძულზე.... ამერიკელი ოფიცრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები კორეაში ბრძოლას არ განაახლებენ „თავიანთი ინიციატივით“. ეს იქნება გაერთიანებული ერების აქცია, რაც მოხდება მხოლოდ გაერთიანებული ერების მითითებით...“.

თბილისის გოტანიკურ ბაღში

ზამთარმა უკვე დაარნია კვალი თბილისის ბოტანიკური ბაღის მცენარეთა სამყაროს. სიცივეს მოუსუსხავს გაზონებში დარგული მრავალფეროვანი ყვავილები, დილაობით მცენარეებზე ვერცხლისფრად ბრწყინავს თრთვილი, ჩუმი შრიალით ცვივა შეღვითლებული ფოთლები... ბუნების ცვლილება შედარებით ნაკლებად ეტყობა მარადმწვანე მცენარეებს. კვლავ მწვანეა ფიჭვების, ნაძვებისა და კვიპაროსების სამოსელი.

მხოლოდ ორანჟერიებშია ისევ ზაფხული. მინის კედლებში ლაღად გრძნობენ თავს სუბტროპიკული მცენარეები. სითბო, წყალი და სინათლე არ აკლიათ კაკტუსებს, ციტრუსებს, პალმებს, ფეიხოიას.

ახლა ბაღში გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს ზამთრის სამუშაოები. კაპიტალურად შეკეთდა ორი დიდი ორანჟერია, ხოლო სამს მიმდინარე რემონტი გაუკეთდა. ხის უვარგისი ნაწილები შეცვლილია რკინის ახალი კონსტრუქციებით. აშენდა აგურის ლუმელები, 4 ახალი საორთქლე, დამზადდა 100 ჩარჩო სათბურებისათვის. მომარაგებულია სათბობი.

წელს ბოტანიკურ ბაღს 50 ჰექტარი ახალი ფართობი შეემატა. ახლა წარმოებს მისი შემოღობვა, მცენარეთა დარგვას კი ადრე გაზაფხულზე შეუდგებიან.

ნავარაუდევია ნახევარ ჰექტარზე გაშენდეს ახალი, დიდი ორანჟერია.

სურათზე: ბოტანიკური ბაღის ორანჟერიაში ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თამარ დუმბაძე დაკვირვებას აწარმოებს მის მიერ გამოყვანილ წვრილყვავილა ქრიზანტემის ახალ ჯიშებზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ვ. ბარნოვის ხსოვნის საღამო

გუშინ მწერალთა კლუბში გაიმართა ცნობილი ქართველი რომანისტი მწერლის ვასილ ბარნოვის ხსოვნის საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანმა პოეტმა გ. ლეონიძემ. მოხსენება ვ. ბარნოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა პროფესორმა შ. რადიანმა.

სიტყვები წარმოთქვეს და დამსწრეთ მოგონებები გაუზიარეს მწერლებმა სტალინური პრემიის ლაურეატებმა ლ. ქიაჩელმა და ა. ჭეიშვილმა, დრამატურგმა მ. მრევლიშვილმა, მწერალმა გ. შატბერაშვილმა. ვ. ბარნოვისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ვ. გორგანელმა. (საქდესი).

ერთი მილიონი მანეთის ნაძვისხის სათამაშოები

ცეკავშირი სოფლად აჩაღებს ვაჭრობას ნაძვისხის სათამაშოებით. ბაზრებსა, ქუთაისსა, სამტრედიის, აგრეთვე აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის ბაზებს აქვთ 160-მდე სახელწოდების ნაძვისხის სათამაშოები, აქედან მარტო 20.000 ცალი თოვლის ბაბუა, სულ ერთ მილიონამდე მანეთის სათამაშოები.

სოფლის მოსახლეობის უკეთ მომსახურებისათვის რაიონულ და სასოფლო მაღაზიებში გაიყიდება სათამაშოების 10.000-მდე კომპლექტი სპეციალური კოლოფებით.

ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 10 და 11 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში დროგამოშვებით ნალექი. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 11-16 გრადუსი სითბე; მთიან რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, დასავლეთი რაიონებში ალაგ-ალაგ ხანმოკლე ნალექი, აღმოსავლეთ რაიონებში უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა—3 გრადუსი სითბო, დღისით 8-13 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ზაში.

უნგრელი ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს მოსკოვის თათბირის დეკლარაციას

ბუდაპეშტი, 7 დეკემბერი. (საკუთარი). უნგრეთის ქალაქებსა და სოფლებში იმართება მიტინგები, რომლებზეც მშრომელები განიხილავენ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის დეკლარაციას. მუშები, მშრომელები, გლეხობა, ინტელიგენცია და მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლები მხურვალედ უჭერენ მხარს დეკლარაციას და მტკიცე პროტესტს გამოთქვამენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ. მრავალი წერილი და დეპეშა, რომლებიც ასეთ განცხადებებს შეიცავს, მოსდის სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოსა და გაზეთების რედაქციებს.

გაზეთი „მადიარ ნეფზეთი“ მოწონებულ სტატიაში სათაურით „უნგრელი ხალხის ხმა“ წერს: „მილიონობით უნგრელი მოქალაქე ერთსულოვნად უჭერს მხარს მოსკოვის თათბირის დეკლარაციას. უნგრეთის წარმომადგენელთა ხელმოწერა ამ დეკლარაციაზე მთელი უნგრელი ხალხის ნება გამოხატავს“.

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის სხდომა

რომი, 7 დეკემბერი. (საკუთარი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა კომიტეტმა მოისმინა და ერთსულოვნად მოიწონა პარტიის გენერალური მდივნის ვიტორიო ვიდალის მოხსენება იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა პარიზის შეთანხმებებზე ხელის მოწერასთან დაკავშირებით, და ტრიესტის კომუნისტების ამოცანების შესახებ.

ხელმძღვანელმა კომიტეტმა 19 დეკემბრისათვის დანიშნა პარტიის საგანგებო კონფერენცია, რათა განიხილოს ახალი ვითარება, რომელიც შეიქმნა ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის იტალიასა და იუგოსლავიას შორის გაყოფასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელმა კომიტეტმა გადაწყვიტა დელეგაცია გაგზავნოს იტალიის კომუნისტური პარტიის მომავალ საერთოეროვნულ კონფერენციაზე.

პოლონეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა მოსკოვის თათბირის მუშაობის შედეგებთან დაკავშირებით

ვარშავა, 7 დეკემბერი. (საკუთარი). გუშინ გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირზე ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა გააკეთა საანგარიშო მოხსენება თათბირის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა პოლონეთის მთავრობის დელეგაციის ანგარიში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

9 დეკემბერს	ა. ბალანჩივაძე— მთების გული
10 დეკემბერს	კ. დანკევიჩი — ბოგდან ხმელნიცკი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1).

1954 წ. 22 დეკემბერს დღის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დარეჯან გაბრიელის ასული მეგრელაძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„დასტალინ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“.**

1954 წ. 22 დეკემბერს დღის 3 საათზე № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ლიუდმილა ვლადიმერის ასული ცალაგოვა

დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Возвратные глаголы в современном русском языке, их значение и синтаксические связи. Способы их выражения в осетинском“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

გრძელდება ხელმოწერა 1955 წლისათვის

შემდეგ ჟურნალ-გაზეთებზე:

„Агротехсоветы колхозам“
„Зоотехнические и ветеринарные советы колхозам“
„Сельское хозяйство“
„Достижения науки и передового опыта в сельском хозяйстве“

კოლეგიურნეობათა თავმჯდომარეებო, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებო, ბრიგადირებო, აგრონომებო, ზოოტექნიკოსებო და მექანიკოსებო, იყავით სასოფლო-სამეურნეო პერიოდულ გამოცემათა აქტიური ხელისმოწერლები და გამავრცელებლები!

ხელმოწერას იღებენ **„სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კანტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები და საზოგადოებრივი რწმუნებულები.**

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ებს, ბიბლიოთეკებს, კლუბებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ გაიფორმონ ხელმოწერა უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

დროზე გაიფორმეთ ხელმოწერა 1955 წლისათვის.

„სოიუზპეჩატი“.

საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის ინდივიდუალურ მესესხეებელთა საყურადღებოდ

მოქალაქენი, რომლებმაც სესხი მიიღეს ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობისა ან საკუთარი სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის, ვალდებული იყვნენ ვადაგადაცილებული და IV კვარტალის მორიგი შემოსატანი თანხა დაეფარათ ა. წ. 15 ოქტომბრამდე.

სესხის ზოგიერთმა მიმღებმა არ უზრუნველყო ხსენებული დავალიანების დროზე დაფარვა.

საქართველოს სსრ კომუნალური ბანკი მოითხოვს სესხის მიმღებთაგან დაუყოვნებლივ შემოიტანონ დავალიანება, რომელიც მათზე ირიცხება. სესხის მიმღები, რომელიც არ უზრუნველყოფს აღნიშნული ვალის დაუყოვნებლივ დაფარვას, ჩაითვლება ურჩ გადამხდელად და ბანკი იძულებული იქნება მიიღოს მის მიმართ იძულებითი ზომები გადასახდევინებლად, გაორკეცებული პროცენტების დარიცხვით.

კომუნალური ბანკი აცნობებს სესხის მიმღებთ, რომ, ვისაც საშუალება აქვს, საჭიროებისა შემთხვევაში შემოიტანოს ბანკის სალაროში თანხები მომავალ წლების გადასახდელების დასაფარავად.

საქართველოს სსრ კომუნალური ბანკი.

შვილი ვახტანგი ოჯახით იუწყება **ნინო ვასილის ასულ თანდილაშვილი-ზამბახიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-XII, 7 ს. ფალიაშვილის ქ. № 9. დაკრძალვა 12-XII ლაგოდეხში, გამოსვენება ბინიდან, 26 კომუნარის ქ. № 2.	შვილები შურა, შოთა, კარლო, ლუბა, ლილი იუწყებიან **ალექსანდრე სიმონის-ძე ნავროზაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-XII, 7 ს. გამოსვენება 11-XII, 4 ს. ძერჟინსკის ქ. № 18.	მეუღლე ზინა ოჯახით იუწყება **სილიბისტრო როსტომის-ძე არჩვაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XII, 8 ს. გამოსვენება 12-XII, 2 ს. თოფურიძის ქ. № 55.
შვილები მერი, ვახტანგ ოჯახებით იუწყებიან **მარიამ დავითის ასულ ბეჟანიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 11-XII, 3 ს. მლეთის ქ. № 2.	მშობლები რაფიელ, პუბი ოჯახით იუწყებიან **ციალა კანდელაკი-ახმეტელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-XII, 7 ს. ჯორჯაძის ქ. № 5.	შვილი ვენერა ოჯახით იუწყება **მარო დათუნაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XII, 7 ს. გამოსვენება 12-XII, 3 ს. ძერჟინსკის ქ. № 22.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნისი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსიტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ეროვნებათა ურთიერთობის, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ჯგუფისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და ეკონომიკის ინფორმაციის — 3-80-83 წერილების — 3-73-24 განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომწვევის—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70

ᲣᲔ 19122 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.